

# № 2

6100

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**—საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს.**
**გ. დევდარიანი—**6 წელი ბრძოლისა და გამარჯვებისა.
**თ. ულენტი**—საქართველოს წითელი ლაშქარი.
**ი. ლიტვინოვი**—ლენინი.
**ნ. ზომლეთელი**—ქალაქის დილა.
**ვ. ალექსანდროვსკი**—ოქტომბერში.
**მ. ადამაშვილი**—კვაჭი კვაჭანტირაძე.
**სანდრო ეული**—ცეცხლის რკალებში.
**ი. გედევანიშვილი**—უწინ და ეხლა.
**ი, გედევანიშვილი**—სიტყვა წარმოთქმული მემარც. ს.-ფედ. კონფ.-ზე.
**გ. მირიანაშვილი**—მებრძოლ გმირებს.
**ს. შანშიაშვილი—**სპარტაკ.
**ფარაონ ტუტატხამონის აკლდამა.**

**„დროშის“ მორიგი № 3 გამოვა 1-ლ დეკემბერს.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

| განცხადების ტარიფი: | ხელის მოწერა: | მისამართი: რედაქციის და კონტორის |
|---|---|---|
| ერთი გვერდი . . 100 მ. ჩერ. | სამი თვით . . . 1 მან. 20 კ. ჩერ. | რუსთაველის პრ. № 22. |
| ნახევარი გვერდი . 50 მ. „ | ერთი თვით . . . 40 კ. „ | მიიღება ხელის მოწერა დილის 9—3 საათამდე. |
| მეოთხედი გვერდი . 35 მ. „ | ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. „ | |

№ 2 ოთხშაბათი 21 ნოემბერი 1923 წ. № 2

## საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირს.

საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ექვსი წლის თავზე ვუძღვნით ჩვენს მხურვალე სალამს ნორჩ მუშათა და გლეხთა გვარდიას, ბრძოლის ცეცხლით აგზნებულს...

კაპიტალის მონების მენშევიკების წინააღმდეგ მებრძოლთ. მომაკვდინებელ მტრებს შოვინიზმისას, რომელსაც თქვენ ლახვარსა სცემთ.

ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმობის მებაირახტრეთ, ოთხი წლის წინეთ პროლეტარულ ბაქოში რომ საფუძველი ჩაუყარეთ გაერთიანების საქმეს.

ახალ მებრძოლთ, შემკვლელთ ბრძოლაში დაღლილ უფროსებისა.

ჟურნალ „მომავლის“ ორი წლის თავზე ჩვენი მტკიცე სურვილია, რომ იგი გახდეს საუკეთესო ორგანოთ ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის, მარქსიზმისა და ლენინიზმის სულისკვეთებით გაჟღენთილი, რომ მან ცოდნით აღჭურვოს ახალგაზრდობა ზეციერ ღმერთთა და მათ მიწიერ მსახურთა შესამუსვრელათ.

ბრძოლისაკენ ძველი ქვეყნის ბურჟუათა და შავ-ბნელ ძალთა წინააღმდეგ!

რევოლიუციის წითელი დროშის ქვეშ მიმავალთ, ახალი ქვეყნის აღმშენებელთ, დღევანდელ და მომავალ „სპარტაკელებს“—საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობას და მის ორგანოს—„მომავალს“.

**ჟურნალ „დროშის“ სალამი.**

## 6 წელი ბრძოლისა და გამარჯვებისა.

6 წლის წინეთ საქართველოს ცენტრში—თფილისში არსდება 12 ამხანაგისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც უწოდებს თავს „ახალგაზრდობის სოციალისტური ინტერნაციონალისტური კავშირი **„სპარტაკ“**.

ეს იყო ყრილობის გათიშვის შემდეგ, რომელიც მოხდა თებერვლის რევოლიუციის ერთი თვის მერე—ახალგაზრდობის წრის ყრილობისა. თითქმის ამ მომენტიდან იწყება რამოდენიმე მიმართულების ახალგაზრდულ ნამდვილ მოძრაობის შექმნა საქართველოში. უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლამდე **„სპარტაკმა“** სულ მცირე რამეში გამოიჩინა თავი. ის იყო გატაცებული საერთო პოლიტიკურ ბრძოლით, რომელიც მაშინ ნაპირებს გადადიოდა. მაგრამ ახალგაზრდობას თანდათან ეზრდება საკუთარი მოთხოვნილებანი. ის ეძებს თავის კალაპოტს და არ იყო არავითარი საშვალება არ მისცემოდა გამოსავალი მათ სურვილებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნებოდა უარესი მდგომარეობა. პარტია (კომპარტია) ამ მომენტიდან სერიოზულ მუშაობას იწყებს ახალგაზრდობაში, მით უმეტეს, რომ ნაყოფიც უხვი იყო და ნიადაგიც კეთილშობილი. და მართლაც ბრძოლის გაჩაღების დროს შექმნილი იყო მძლავრ ორგანიზაციების მთელი რიგი დასავლეთ საქართველოში, რომლებიც მექანიკურად უწოდებდნენ თავს **„სპარტაკ“-ს** და ერთმანეთთან კი კავშირი არა ჰქონდათ. თბილისის საქალაქო კონფერენციის შემდეგ, რომელზედაც ორგანიზაციას შეეცვალა სახელი „ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაციის „სპარტაკ“-ის სახელწოდებით; ამორჩეულ იქმნა დროებითი **ცეკა** და **თეკა** „სპარტაკ“-ის, რის შემდეგ მუშაობა ჩაღდება და იბმება კავშირი პროვინციალურ ორგანიზაციებთან, თუმცა არა ყველასთან. სულ მალე ამის შემდეგ გამოშვებული იყო დეკლარაცია, რომელიც აუწყებდა ქვეყანას თავის არსებობას და შეურყეველ ნებას ბრძოლისას მსოფლიო კაპიტალთან და მის დამქაშებთან მენშევიკებთან—კომუნისტების ხელმძღვანელობით. ქუთაისის ორგანიზაციამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუშვა კიდეც თავისი ბეჭდვითი ორგანო „ახალგაზრდა კომუნისტი“ და შემდეგ (18 წლის ბოლოს) „მე-III-ე ინტერნაციონალი“. აი საერთო ხაზებში „სპარტაკ“-ის მუშაობის პირველი სტადია. მეორე სტადიათ ჩვენ ვსთვლით 1919 წელს. ამ წელმა ჩვენ მოგვცა ბევრი ახალი და დიდი ორგანიზაციები და საერთოდ უნდა ითქვას, რომ 1919 წელში ეს ორგანიზაციები გამაგრდნენ და ჩამოყალიბდნენ. დღის წესრიგში უკვე სდგანან დიდი საკითხები: საქართველოს მოფენა სპარტაკულ ორგანიზაციებით; საკითხი ძალაუფლების ხელში აღებისათვის დახმარებისა. აი ძირითადი მოტივები, რომლებიც ახასიათებენ „სპარტაკ“-ის საერთო მოღვაწეობას. მაგრამ ავტორიტეტის ზრდასთან, პარტიის ამოცანების შესრულებასთან და ორგანიზაციის განმტკიცებასთან, ადგილობრივ და უცხო ჯარში (უმთავრესად ინგლისურში) აგიტაციასთან ერთად მოხდა „სპარტაკ“-ის ზოგიერთ ორგანიზაციის დარბევა 1919 წლის უნაყოფო აჯანყებების შემდეგ. აჯანყების მონაწილენი ბევრნი დახვრიტეს, ბევრნი კი—მათ შორის ამ სტრიქონების დამწერი—ჩააგდეს ციხეში. ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი „სპარტაკ“-ის მოღვაწეობიდან ეს არის—ურთიერთ შეთანხმების შემდეგ—ამიერ კავკასიის ახალგაზდურ კომუნისტურ მოძრაობის გაერთიანება. ამ მიზნით ბაქოში 9 სექტემბერს 1919 წ. იკრიბება ამიერ-კავკასიის კონფერენცია, რომელზედაც საქართველოდან წარსდგნენ: თბილისი, ხაშური (გორის მაზრა), გურია, ქუთაისი, ხონი და სხვ. და სამეგრელო, სომხეთიდან—ალექსანდროპოლი და ერევანი და აზერბეიჯანიდან—ბაქო. კონფერენციამ გამოიტანა მეტად საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება: ორგანიზაციებს „სპარტაკ“-ის მაგიერ დარქვას „რ.ა.კ.კ.“ ამიერ კავკასიის ორგანიზაცია საოლქო კომიტეტის მეთაურობით, რომელიც იარსებებდა თფილისსა და ბაქოში. სწორედ შოვინისტურ



პლენუმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

აგიტაციის და მეზობელ ერთა შორის გაჩაღებულ ომების დროს ამ კონფერენციამ ითამაშა დიადი როლი მრავალ ეროვნებიან ამიერ-კავკასიის მშრომელ ახალგაზრდობის მთლიანი ინტერნაციონალურ ოჯახში შეკავშირებით.

შემდეგ მოდის ბრძოლის მესამე პერიოდი მენშევიზმის პირობებში. როგორც ცნობილია რ. ს. ფ. ს. რ. და ჟორდანიას საქართველოს შუა დადებულმა მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებამ „უბოძა“ ბოლშევიკებს „ლეგალიზაცია“. ამის შემდეგ რ.ა.კ.კ. ა. კ. საოლქო კომიტეტმა თავი დაშლილათ გამოაცხადა და მის მაგიერ შეჰქმნეს საქართველოს ახალგაზრდობის კომ. კავშირის ცეკა. მაგრამ ლეგალიზაციით ჩვენ ვსარგებლობდით სულ მცირე ხანს: ორი კვირის შემდეგ გადაასახლეს 4 საუკეთესო ამხანაგი. მიუხედავათ იმისა ორგანიზაციამ ნახევრად ლეგალურ პირობებშიაც მალე დაიწყო ზრდა. შესდგა აკკ. საქალაქო კონფერენცია. ცეკამ დაიწყო თავის გაზეთის „ახალგაზრდა პროლეტარის“ გამოცემა, მაგრამ მე-6 ნომერზე იგი დაჰხურეს. ბათომში, აფხაზეთში, კახეთში და საქართველოს ყველა მოზრდილ ცენტრში შეჰქმნეს ახალი ორგანიზაციები. 25 აგვისტოსთვის 1920 წ. დანიშნული იყო ყრილობა, მაგრამ იგი შეკრებისთანავე გარეკა ბ-მა რამიშვილმა თავის ამქრების საშუალებით და მისი თავმჯდომარე განსვენებული ამხ. ბორის ძნელაძე გადაასახლა აზერბეიჯანში. ასეთი იყო მენშევიკური „ლეგალიზაცია“. მოგვიხდა მუშაობის ისევ „პოდპოლიე“-ში გადატანა.

ორგანიზაციაში უკვე ითვლებოდა 4.000 წევრამდე. აკკ. ცეკამ, მიუხედავათ რეპრესიებისა, მაინც გადაწყვიტა მოეწვია უკვე არალეგალური ყრილობა. განუწყვეტელ დღე ნახევრის სხდომის შემდეგ 26 ნოემბერს ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა. ამ დროს განმავლობაში ბევრნი გადაასახლეს, ბევრი დაპატიმრებული იყო, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ მუშაობა მაინც გრძელდებოდა. და აი დაჰკრა მენშევიკებისათვის საბედისწერო საათმა და საქართველო გახდა წითელი. აკკ თავის შესაფერ ადგილს იდგა და იღებდა ცხოველ მონაწილეობას საქართველოდან მენშევიკების განდევნაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აკკ. მუშაობა თავისუფლათ იშლება, შეიქმნა შესაძლებლობა ლეგალურ მუშაობის და ამ პირობებში იგი დღემდე განაგრძობს მოღვაწეობას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებში აკკ. ვერ მოასწრო უკან მოხედვა, რომ ორგანიზაცია გაიზარდა 4.000 დან. 12.000 კაცამდე. მაგრამ ეს არ იყო საღი ზრდა, რადგან, ერთი, რომ იყო ბევრი მიტმასნებული ელემენტები, მეორეც, ჩვენ საერთოდ არ ვიცნობდით მუშაობის ახალ პირობებს. თუ მენშევიკების დროს საჭირო იყო მათ საწინააღმდეგო იარაღის ხელში მარჯვეთ ჭერა და პარტიის ტეხნიკურ ამოცანების აღსრულება, ახლა ეს მოვალეობანი გადიქცნენ მეორე ხარისხოვნებათ და მასთან დროზე ვერ შევეჩვიეთ ახალ სამუშაოს. ამითი აიხსნება კავშირის კრიზისი. 21 წ. აგვისტოში შეკრებილმა ყრილობამ გადაჭრა ყველა ეს საკითხები, მისცა მუშაობის დირექტივები პერიოდში მიქცეული იყო მუშა ახალგაზრდობის საკითხისაკენ. მე5 (მე-2 ლეგალურმა) ყრილობამ 1922 წ. ინვისში გამოიმუშავა აკკ. ახალ პირობებში მუშაობის ძირითადი დებულებანი, რომლებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ აკკ პოლიტგანათლების დაყენებას და მუშათა ახალგაზრდობის ინტერესების დაცვას. ამას გარდა სერიოზულ ყურადღება მიაქცია ბრძოლას ანტიკომუნისტურ მოძრაობასთან მის ლეგალურ გამოხატულებაში.

ეხლა ქვაკუთხედათ აკკ. მოღვაწეობისა იდება მუშაობა გლეხურ ახალგაზრდობაში და საერთოდ სოფელში. ამ ლოზუნგების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს ეს მუშაობა დღესაც. აღვნიშნოთ ციფრებში საკკ. მიღწევები. წარსული წლის ივნისში საკკ რიგებში ითვლებოდა 8950 კაცი, ახლა კი—17,300. 8950 კაცში წერა კითხვის არა მცოდნე იყო 33% ახლა თითქმის 50%—ით გაზრდის შემდეგ, ასეთები 13% შეადგენენ. ამას მივაღწიეთ ჩვენ გასულ წელს. წარსულ წელს არ გვქონია არც ერთი პოლიტწრე, ახლა კი არის 520. შარშან არ იყო ქოხები—სამკითხველოები, წელს კი 178, კლუბებია 39, სალიტერატურო დრამატიული და სხვა წრეები 198. ამას გარდა არსებობს **ახალგაზრდობის კომუ-**



ჟურნალ „მომავალის“ სარედაქციო კოლეგია.

ადგილებს, მაგრამ ამის შემდეგ დადგა საკითხი საკკ გაჯანსაღებისა. ამ მიზნით გატარდა 21 წ. ბოლოს და 22 წ. დასაწყისის განწმენდა. ეს პერიოდი კავშირის ცხოვრებაში აღინიშნა მრავალ არა ნორმალურ მოვლენებით.

**ნეპ-ი** შევიდა საბჭოთა სახელმწიფოების სისხლსა და ხორცში, წარმოებანი გადადიოდნენ სამეურნეო ანგარიშზე. სამნეო ანგარიშის დროს მოზარდებს აღარ შეეძლოთ მიეცათ სარგებლობა წარმოებისათვის და მათ რიცხვს მრავლობით ამცირებდნენ წარმოებებში. 22 წ. შუაში აკკ სერიოზული მუშაობა დაიწყო მუშა ახალგაზრდობის წარმოებებზე მიმაგრებისათვის, რის შედეგათ ჩვენ მივიღეთ საქართველოს სახკომსაბჭოს დეკრეტი მუშა ახალგაზრდობის % მინიმუმის განსაზღვრის შესახებ წარმოებაში. და ამ რიგად მუშა ახალგაზრდობა ხელ ახლა დაუბრუნდა სამუშაოს. აკკ მთელი ყურადღება ამ **ნისტურად აღზრდის ცენტრალური სახლი,** რომელიც ხელმძღვანელობს კავშირის მთელ მეთოდიურ მუშაობას.

ანტისარწმუნოებრივი კამპანია. რომელიც ასე ფართოდ მოედო საქართველოს, დაიწყო. აკკ. მუშა ახალგაზრდობის შრომის დაცვის კანონებსაც ვერ არღვევენ აკკ. ჩარევისა და მისი მასიურ ეკონომიურ მუშაობის გაცხოველების გამო. მოწყობილია მოზარდ მუშების 5 სკოლა საერთო განმანათლებელ ხასიათისა 570 მოწაფით. მოწყობილია „ფაბზავუჩ“-ის 3 სკოლა 480 მოწაფით, ამ დღეებში იხსნება უმუშევარ მოზრდილთა სახლი და სხვ. საკკ. მე-6 ყრილობამ წამოაყენა განათლების ახალი სისტემა საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის სისტემის წინააღმდეგი.

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ გახრწნა. 28—31 ოქტომბრის ა. წ. ამ ორგანიზაციის ყრილობამ, რომელზედაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენილ იყო 5025 წევრი 5700 დან დაშალა ორგანიზაცია და გადავიდა აკკ. რიგებში. დაშლილ იქმნა კონტრ-რევოლიუციონური სასპორტო საზოგადოება „შევარდენი“ და მის მაგიერ შეიქმნა ბავშთა კომუნისტური მოძრაობა „სპარტაკ“, რომელშიც ამ ჟამად ირიცხება მშრომელთა 8.000 ბავშვი. ბოლო დროს იწყო ზრდა ფიზიკურ აღზრდის საქმემ. დასასრულ რამოდენიმე სიტყვა მენშევიკების აზრის შესახებ აკკ. მუშაობაზე. თფილისის საქალაქო „კონფერენცია“ მენშევიკების თავის მოწოდებაში „ახალგაზრდა მარქსისტების“ მიმდინარე სალიკვიდაციო კონფერენციების შესახებ სწერს:

„... ახალგაზრდობის მთლიან ფრონტის გასარღვევათ იმათ თავიდანვე შექმნეს ე. წ. „კომსომოლ“, რომელიც შესდგება სომხის ბურჟუებისა და შავრაზმელების შვილებისაგან, ქართველ ახალგაზრდობიდან მათ გაჰყვენ საზოგადოების ზოგიერთი ნაძირალები, რომლებიც ფულისათვის მზად არიან გაჰყიდონ სინიდისი და პატიოსნება. „კომსომოლი“ გადაიქცა ნამდვილ შავრაზმულ ორგანიზაციათ და მისი ფაშისტური და ხულიგანური გამოსვლები არბევენ და ავიწროებენ ქალაქებს, სოფლებს, სასწავლებლებს და სხვ.“

პირველად, ისტორიული ნარკვევი —იხილეთ ამ წერილის დასაწყისი. მეორე შენიშვნა კი ეროვნულ შემადგენლობის შესახებ: ამბობენ, რომ ჩვენ გვყავს სომხის ბურჟუები. ინებეთ, ბატონო მენშევიკებო: ქართველები შეადგენენ 67%, სომხები 10%, რუსები 9%, დანარჩენი 16% კი საქართველოს სხვა ეროვნებები. ბურჟუების შესახებ, ინებეთ; მუშები—20%, გლეხები 56%, მოსამსახურეები 7,1%, მოსწავლენი 15% და ხელოსნები 1,3%.

სად არიან აქ ბურჟუები?

საქართველოს 67% თქვენებურად ნაძირალებს წარმოადგენენ?

რაც შეეხება დანარჩენს, ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ ახალგაზრდობის აღზრდის საქმის შესახებ. და მართლაც ხომ არ გვაქებენ ჩვენ მენშევიკები იმის გამო, რომ ჩვენ შემოვიკრიბეთ აკკ ში 80% საქართველოს მთელ მუშა ახალგაზრდობისა? ან კიდევ იმიტომ, აკკ იბრძვის ახალი ოჯახისათვის და ამსხვრევს ყოველივე ძველს, რაც ასე ძვირფასია მენშევიკებისათვის, რომ ჩვენ დავიპყარით შკოლები, ქალაქები და სოფლები?!!

საერთოდ კი ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა საქართველოს და მთელი ქვეყნის მენშევიკების გონებრივ კრეტინიზმასა.



ს. კ. ა. პრეზიდიუმის შემადგენლობა.

ასეთია საკკ სურათი მისი არსებობის ექვსი წლის თავზე. საკკ ცეკას აქვს ყოველთვიური ჟურნალი „მომავალი“ და ორი ყოველკვირეული გაზეთი, ქართული— „სპარტაკ“ და რუსული —„იუნოშესკაია პრავდა“.

ამას გარდა გამოცემულია 15 წიგნი სხვადასხვა სათაურით, არსებობს „აკკ მწერალთა ლიგა“.

მაშ ვუსურვოთ საქართველოს აკკ იმავე სულისკვეთებით განეგრძოს თავისი მუშაობა თავის არსებობის შემდეგ წლებშიაც და იყოს მზათ სადარაჯოზე, რადგან გერმანიის და მსოფლიო რევოლიუცია მოახლოებულია და ჩვენგან მოითხოვს დახმარებას.

**გ. დევდარიანი.**

# საქართველოს წითელი ლაშქარი.



ქართული დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტ-
განათლების უფროსი თენგიზ ჟღენტი.



დივიზიის უფროსი ს. ლექვთაძე.

ზოგიერთი მტერი საბჭოთა ხელისუფლებისა„ ჩვენს წითელ ჯარს ბანდებს უწოდებდენ. ძველი რეჟიმის მეგობართ ვერ წარმოედგინათ თუ პროლეტარიატს შესწევდა უნარი სამხედრო ცოდნის შეძენის. ეს საქმე მათის აზრით მხოლოთ წარჩინებულ პირთა, თავადებისა და ძველი ღენერლების შვილების პრეროგატივას წარმოადგენდა. თუ მუშებისა და გლეხების შვილების ნიჭი შესძლებდა სამხედრო ხელოვნების და ტეხნიკის შეთვისების, მათ ეს არ სჯეროდათ. პროლეტარულმა რევოლიუციამ დღის წესრიგში დააყენა თავის დასაცავად შეიარაღება და, მაშასადამე, წითელი ჯარის შექმნა. წითელი ჯარის პირველი სამშობლო ეს საბჭოთა რუსეთი იყო, რომლის მაგალითს მიბაძა სხვა საბჭოთა ქვეყნებმა.

საქართველო პატარა საბჭოთა ქვეყანაა, ფედერატიულად დაკავშირებული სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან. მას ისეთივე მტრები ჰყავს, როგორც სხვა მეზობელ საბჭოთა ქვეყნებს; ამიტომ არის რომ აქაც საჭირო შეიქნა წითელი ჯარის შექმნა.

შექმნეს თუ არა მენშევიკებმა ნამდვილი ჯარი, ან შეეძლოთ თუ არა მისი შექმნა? ყველამ კარგათ იცის, თუ რას წარმოადგენდა საქართველოს ყოფილი მთავრობის ჯარი. ჯარის ორგანიზაცია და მისი შინაარსი ვერ გაშორდა თვითპყრობელ მეფის ჯარის ფორმას და შინაარსს. გასაბჭოების შემდეგ შეიცვალა რა სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურა, შეიცვალა ძირიანფესვიანათ ჯარის ფორმა და შინაარსი, მოხდა მისი გადახალისება.

ჩვენ შეუდექით კლასიურ ჯარის შექმნას, რომელსაც დღეს ამაყად და გაბედულად უჭირავს ხელში წითელი დროშა. როგორია ჯარის უმთავრესი თვისებანი, რომელნიც მას ახასიათებენ როგორც ნამდვილ შეიარაღებულ ძალას და მის ბრძოლის უნარიანობას? ეს გახლავთ სამხედრო-სამწყობრო საქმის თავის სიმაღლეზე დაყენება და პოლიტიკური ცოდნის შეტანა ჯარში. დღეს იარაღს ქვეშ მყოფი საქართველოს წითელი ჯარი სულ რვა თვეა ყაზარმებშია და ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა გაიარა სრული პროგრამა სამწყობრო მუშაობის, რომელიც დამტკიცდა უკანასკნელ მანევრებისას/ალღუმების დროს. კარვობის დროს საარტილერიო ნაწილებმა თავისი სპეციალურ დარგში მიიღეს ჯილდოები თანახმად კავკასიის ცალკე არმიის შტაბის ბრძანებისა.

აპრილის გაწვევის დროს ჩვენ ჯარში იყო ათასექვსასი წერა-კითხვის უცოდინარი წითელარმიელი. ოქტომბერში მოხდა გამოცდა წითელარმიელების; გამოცდა ჩააბარა ექვსას-ორმოცდა ათმა წითელარმიელმა. ის ვერ ჩააბარა ორას სამოცდა თოთხმეტმა კაცმა. უკანასკნელთა გამოცდები გადაიდო პირველ იანვრისათვის. დანარჩენების გამოცდები ჯერ არ ყოფილა.

პოლიტიკური მეცადინეობა ყოველდღე სისტემატიურად მიმდინარეობს ფიზიკური ვარჯიშობის შემდეგ.

პარალელურად პოლიტიკურ მეცადინეობასთან იკითხება სანიტარულ-განმანათლებელი ლექციები.

პოლიტ-ცოდნა დადგა თავის სიმაღლეზე, რომელიც დამტკიცდა ამ ახლო ხანში წითელარმიელების გამოცდის დროს. მაგალითად, კარგათ მომზადებულთა რიცხვი მთელს ლაშქარში შეადგენენ 41 პროც., საშვალოდ—44 პროცენტს, სუსტად—15 პროც.

წითელარმიელებში გაცხოველდა თვითგანვითარების საქმეც. მონაწილეობენ კედლის გაზეთებში და ცენტრალურ ორგანოში გაზ. „წითელარმიელში“.

ასე რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ სამხედრო დარგში საგრძნობი გარდატეხა მოახდინა. მას უკვე ჰყავს გაწვრთნილი და პოლიტიკურათ შეგნებული წითელი ჯარი—მშრომელთა ინტერესების მედგარი დარაჯი.

**თენგიზ ჟღენტი.**

# ლენინი

არიან სახელები, რომლებიც მეტს ეუბნებიან თავის თანამედროვეთ ვიდრე ათეული ტომები მეცნიერულ ტრაქტატებისა, რომლებიც ყველა პროგრამებზე მეტად შინაარსიანია, რომლებიც კანდელივით ანათებენ და უჩვენებენ კაცობრიობას მის მერმინდელ გზას. ასეთი ბელადები ცოცხალი განხორციელება არიან საუკეთესო თავის თანამედროვეთა ვნებების, გმირობის, მისწრაფების, ძიების, ოცნების და აღმაფრენის. პროლეტარიატისათვის, რომელიც ემზადება დაიპყროს მთელი მსოფლიო, ასეთი სახელია ლენინი.

ლენინი — არა მარტო საყვარელ ბელადის სახელია, ეს არის პროგრამა და ტაქტიკა, რწმენის კატეხიზისი და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ერთ და იმავე დროს.

ლენინი — ეს სიძულვილია, ადამიანისაგან ადამიანის დამონების და ექსპლოატაციისადმი ანთებული სიძულვილი, — ესაა სიძულვილი ყველა ცრუმორწმუნოებისა და მათი მღვდელთმსახურების მიმართ. ლენინი — ეს ყოვლად შემძლე მატერიის მცნებაა, რომელიც უარჰყოფს ყოველივე ზე-ბუნებრივს და ღვთაებრივს. ლენინი — ეს წმინდა შემეცნების სამეფოა, რომელიც უკუაგდებს მისტიკას.

ლენინი — ეს ძველი ქვეყნის წინააღმდეგ თავაღებულ ბრძოლის მოწოდებაა, მაგრამ ამასთან ამ ბრძოლის ტაქტიკაცაა. უარყოფაა ყოველნაირ კომპრომისის, ყველა ნახევარზომების, ყოველგვარ შემთანხმებლობის, მაგრამ იმავ დროს აღიარებაა დრო და დრო მიხვევის, მანევრის და უკანდახევის აუცილებლობის — ყოველივე ეს განსახიერებულია სიტყვა ლენინში.

ლენინი — ეს უსაზღვრო გატაცებაა მეცნიერებით და ტეხნიკით, ეს მისწრაფებაა ადამიანის შრომის შეცვლისაკენ ელექტრონით, რადიოთი, შეიძლება შინაგან ატომიურ ენერგიითაც კი. ლენინი — სიმბოლოა ელექტროფიკაციის, მელიორაციის და მძლავრ ტრაქტორის. ლენინი — ეს უარყოფაა ყოველგვარ რწმენის, გარდა რწმენისა შრომის გარდაუვალ გამარჯვებაში კაპიტალზე, ყოვლად შემძლე მაშინისა ბუნებაზე. ლენინი — რა არ არის ამ სიტყვაში მებრძოლ პროლეტარიატისათვის!? ყველა პრობლემები პოულობენ თავის გადაჭრას ამ სახელში. მწვავე სიძულვილი ვიწრო ნაციონალიზმისადმი, მილიტარიზმისადმი, გაბატონებული ექსპლოატატორულ კლასთა სისხლის მღვრელ ომებისადმი; მთელ დედამიწის მშრომელთა ძმობის გრძნობები, რა ენაზედაც არ უნდა ლაპარაკობდენ ისინი ან რა ფერისაც არ უნდა იყოს მათი კანი, — ყოველივე ეს განსახიერებულია ამ ერთ სახელში.

თუ სიმართლეა, რომ სილამაზე კონტრასტებშია, მაშინ ლენინი უმაღლესი სილამაზეა მსოფლიოსი, რადგან იგი — განსახიერებაა მოჩვენებულ წინააღმდეგობათა, რადგან ლენინი — ესაა დინამიკა და დიალექტიკა პროლეტარიატისა.

ლენინი — ესაა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, მაგრამ ეს ახალი ეკონომიური პოლიტიკაცაა; ეს 25 ოქტომბრის შტურმია და ბრესტის ზავი; ეს „პოდპოლიე“-ა, დაუბოლოებელი ოცდა ხუთი წლის „პოდპოლიე“ და ემიგრაცია, ციხე, გადასახლება და გაქცევა, „კრუჟკოვშჩინა“ და წვრილი პარტიული მუშაობა; მაგრამ ეს დიქტატურაცაა, უმაგალითო თავის სისასტიკით, ეს მაგარი რევოლიუციონური ხელისუფლებაა და ამაყი წითელ კრემლი, რომელიც უკარნახებს თავის ნებას შეშინებულ კაპიტალისტურ ქვეყანას.

ლენინი — ეს ტანჯვაა იდეისათვის; ეს — პროლეტარიატისათვის სისხლიდან დაცლაა; ეს ბრძოლაა ყოვლად აუტანელ პირობებში, უპუროთ, უწყალოთ, უსინათლოდ და უთეთრეულოთ; ბრძოლაა მთელი მსოფლიოს კბილებამდე შეიარაღებულ მტრების წინააღმდეგ. მაგრამ ლენინი ტილთან ბრძოლაცაა, ბიუროკრატიზმთანაც, ბრძოლაა მუშათა გაზეთებში გრძელ წერილებთან და ყრილობებზე გრძელ რეზოლიუციებთან.

ლენინი — ეს საფუძვლამდი ნგრევის სიმბოლოა, ყველა ღირებულებათა უყოყმანოთ ნგრევის გამარჯვების მისაღწევათ; მაგრამ ეს მეურნეობის წამოყენების სიმბოლოცაა, შრომის ნაყოფიერების აწევის და თითეულ სახალხო კაპიკის მომჭირნეობის.

ლენინი — ეს თანამოაზრეთა ვიწრო წრეში ჩაკეტვაა — სწორ რევოლიუციონურ მარქსისტთა წრეში, ეს — შექმნაა ფრაქციის, რომელიც ეტევა ერთ დივანზე, ეს „რასკოლნიკობა“ და „სექტანტობაა“; მაგრამ ლენინი იმავ დროს მებრძოლთა მილიონების მასების შემჭიდროებაა ჩრდილოდან სამხრეთ პოლიუსამდე, ეს მთლიანი კომუნისტური პარტიაა წითელ დედამიწის ბურთის.

მაშ გაუმარჯოს ამხ. ლენინს!

ი. ლიტვინოვი.

# ქალაქის დილა.

ქარხნის საყვირმა იჭექა მედგრად
და ორთქლმავალმა მას მისცა ბანი,
ამ ხმამ ქალაქი, მთვლიმავი, შესძრა
და აატოკა შრომის უბანი.
ავტომობილმა გაიშხუილა,
ვით შურდულიდან გატყორცნილ ქვამა,
სახლის სარკმლებში რეფლექსიურად
შესძრა მინები შემოჭრილ ხმამა.
მთის მწვერვალიდან გადმოსხლტა სხივი:
მზემ მიწას მოსდო ოქროს ლვედები...
მთის უბით დასწვდა ნიავი, ცივი,
და აიშალნენ ზღვაზე გედები...
აგერ აკოჭლდა უტვირთო ჯაგვი
და გააზმორა ღამის ასასმა.
მეეზოვეცა მორჩა იქ დაგვას
და გაისწორა ფეხსაცმლის თასმა...
ქუჩებში ზოგათ და კანტი-კუნტად
თითო, თუ წყვილი მოდიან ზლაზვნით...
მეტვირთე მუშა მოათრევს კურტანს
მოსდევს მას ვირი, რძითა და მაწვნით...
აგერ ამოთქმდა ნავთის მყიდავი,
მას მენახშირეც გაეხმაურა...
ცოტაც და... ქუჩა, ჯერ კვლავ მყვინთავი,
გადაიქცევა აურზაურად...
მოსდევს ქალს-ქალი, კალათით ხელში,
აგერ მედუქნემც ასძრა დარაბი,
უეცრად ქუჩა გასწორდა წელში:
ასტყდა: წრიალი, დავიდარაბა...
და ჰა, უცდიდა თითქოს ის ამ დროს,
ელექტროს სიმმაც ასტეხა: „ვაი“...
მორბის და მოსდევს ვაგონი-ვაგონს
და ამოძრავდა ყველგან ტრამვაი...
ქუჩის ხმაურში, აურზაურში
მზემც ააფერა სხივები, ცხელი,
თითქოს სიმწიფე-შემოსულ პურში
ურევს ივლისის თვალი და ხელი...

ნ. ზომლეთელი.

# ოქტომბერში.

ტალახში, სისხლში აისვარონ ფეხსაცმელები
ეს სულ ერთია თუ შიმშილმა მოგვცა ვადები;
უკვე ვაჭრობას აღარა ჰყავს თავის მცველები
და სარდაფებში არც თაგვია და არც კატები.
წვიმს და კიდევ წვიმს. სიდან არის წვიმის სვეტები?;
მაგრამ თვალებმა არ იციან შიშით დაცემა
ირევა სისხლი ახალგაზდურ თავგამეტებით
ხიშტი ხიშტს მისდევს, ალტაცებას სცვლის ალტაცება.
რატომ გაჩუმდა არ მოქმედობს ღმერთი ზეციდან
ნუ თუ არ ესმის აწყვეტილი ტყვიის ზრიალი?
ვიწრო ოთახში მოღუნული, ხნით, სიბეცითა
ექიმი სინჯავს—ესმის გულის სუსტი ფრიალი.
ამხანაგებო! ნუ ინანიებთ
რომ მოვაშურეთ მოწვევის ხმაზე
თეთრს კურდღელს ტყვიას ავატანინებთ
და მხდალ ფრინველსაც ჩამოვხსნით ცაზე.
არაფერია თუ დროა მძიმე
და ნატეხ პურის ძებნამ დაგვღალა.
აბა მიზანში აიღე ვინმე
გადაუხადე წითელი ლალა.
ქარი და ქარი, გრაგანი ცეტი
გრიგალო ჩადექ კმარა სიმღერა;
მინდა მიზანში ავიღო მკერდი
შიგ ცეცხლით ჩავკლა რისხვა და ძგერა.
მედგრათ, ურჩათ
მყივან ქარში
წყვდიად ქუჩას
არხევს მარში
ვნახავთ საკვებს
ცენტრში ყველა,
ქარი ანგრევს
ქუჩას სთელავს.
კმარა დრეკა
გაქრა შიში;
მხოლოთ რეკავს
ხიშტზე ხიშტი.
ჰეი ამხანაგო! ჩვენ სამშობლოს ცეცხლი უნთია
გაშალე მკერდი, მოიმარჯვე ვინტოვკა ხელში.
ჯანდაბისაკენ რაც ჩვენს წარსულს გამოუცდია
მთელი ძარღვებით გადავიდეთ მომავალ დღეში.
წვიმა, თოვლი... თოვლი წვიმა, ისევ ქარი
დრო არ არის ღამე წუთად მიგრიალებს
სილამაზე უდიდესი არსად არი
რა სჯობია შთაგონებულ მარჯვე თვალებს.
ჰეი ძმობილო! ის ცხოვრება სთელე ფეხით
შენ ხარ სათნო, ხან თავხედი და ძლიერი
შეგვიძლია სამარადო არ გვახსოვდეს?
შეიძლება დავივიწყოთ ოქტომბერი?

ვ. ალექსანდროვსკი.






(დასასრული).

ორი კვირის შემდეგ კვაჭი კვაჭანტირაძე ბარგი-ბარხანით თავს დაადგა ლოგინში ალექსი ირემაძეს. ატყდა დიდი სიხარული, ლხენა და ზეიმი ცრემლით, ხვევნა-კოცნით და ვაი-ვუის ყვირილით. ალექსი და ელენე ისე დაუხვდნენ კვაჭი კვაჭანტირაძეს, როგორც ღვიძლ შვილსა და ძმას.

— ძალიან კარგი გიქნია, ჩემო კვაჭი, რომ იქიდან პირდაპირ ჩემთან მოსულხარ.

— რა ვქნა ბიძიაჯან. არ მინდოდა, მეზარებოდა თქვენი შეწუხება, მაგრამ ველარ მოვითმინე. მადლობის გადადება როგორ შეიძლება.

მრავალი მოკითხვისა და დილის საუზმის შემდეგ კვაჭანტირაძემ გაბედულად და რიხით უთხრა ალექსის:

— ბიძიავ, რომ გამაგდოთ, ვერსად წავალ ეხლა. ოთახი წამართვეს. ბინა უნდა მომცეთ ერთი კვირით და ცოტა ფულიც უნდა მასესხოთ. დედაჩემი წასულა სუხუმ-შისახლის გასაყისდათ.

ლი აქვს, ორი საშხერხაო და მრავალი სხვა ქონება, მაგრამ...

— ხომ მოგეხსენებათ დღევანდელი ამბები: სამი მოსამსახურე და დედაჩემი—საწყალი მოხუცი!—ამოდენა ქონებას დასდევენ. ნახევარზე მეტი დავიბრუნეთ, დანარჩენსაც მალე დაგვიბრუნებენ.

გარდა ამისა, ამხანაგებში მას გასესხებული აქვს ორი ათასი მანეთი.

ერთი სიტყვით, კვაჭი კვაჭანტირაძეს „ჯერ-ჯერობით“ ასი ლირა ეყოფა. ალექსიმ ჯერ-ჯერობით ორმოცდაათი მისცა, დანარჩენს საღამოზე ისესხებს და მისცემს. თან დაუმატა:

— ჯერ აბანოში წადი შვილო. მერე გაიარ-გამოიარე, ამხანაგები ნახე, შენს საქმესაც მოუარე.

საღამოთი კვაჭანტირაძემ ალექსი და ელენე ჯერ სინემაში დაჰპატიჟა, მერე ბაღში წაიყვანა და ვახშამი აჭამა. იმ დღიდან კვაჭი მათი ოჯახის წევრი გახდა. ერთ-



ქართ. კავალერიის წითელი კომანდირები.

— კეთილი ჩემო სილიბისტრო. დამითმია ჩემი კაბინეტი. ფული რამდენი გინდა?

— ლირებით ან ოქროთი მიანგარიშეთ. ტანისამოსი შემომალპა. ბინის პატრონმა გამქურდა. ყველაფერი დავკარგე: სამი ოთახის მშვენიერი მოწყობილება, ოთხი ხელი ტანისამოსი, სამი წყვილი ჩექმა, თორმეტი წყვილი საცვალი, ორი შკაფი წიგნებით სავსე, პიანინო. ორი ათასი მანეთის ზარალი მომივიდა. ვიჩივლე. ცოლქმარი დავაჭერინე. თითქმის ყველაფერი იპოვეს, მაგრამ, ხომ იცით, სანამ საქმეს გაარჩევენ...

ესეც რომ არ იყოს, კვაჭანტირაძეს მრავალი სიმდიდრე აქვს: ოთხი მშვენიერი სახლი ჰქონდა ბათუმში და სუხუმში; ორი სახლი ჩამოართვეს,—ორი შერჩა. გარდა ამისა, გურიაში, სამეგრელოში და სუხუმში სამი ბა-

მანეთს არ ერიდებოდნენ, გასაყოფი არაფერი ჰქონდათ. კვაჭანტირაძე სხვებზე ადრე დგებოდა, ოჯახში უსაქმოდ ერთ საათს არ გაჩერდებოდა: სულ ტრიალებდა, ფუსფუსებდა, გატეხილი თუ რამე იყო—შეაკეთებდა, დააკოწიწებდა. ალექსის დიდის მადლობით გადაუხადა ვალი, თან უცაბედად ერთი დასტა ლირები გამოაჩინა. თან დაუმატა:

— ცოტა ვალი დამიბრუნეს, დანარჩენი საქმეში მოვიგე.

კვაჭი და ელენე ხშირად სხდებოდნენ კუთხეში განმარტოებით, ხან სასეირნოდ დადიოდნენ. მალე ხანში შესულ ელენეს დიდი ცვლილება შეეტყო: დაბნეული დადიოდა, ყველაფერს ივიწყებდა, ოხრავდა, შფოთავდა და მთელი საათობით, როცა კვაჭანტირაძე შინ არ იყო, განმარტოებით იჯდა და რაღაცას ფიქრობდა. •

კვაჭიმ მალე სხვა ბინაზე გადასვლა დააპირა, მაგრამ არ გაუშვეს. ერთხელ მან უთხრა ალექსის:

— ბიძიავ, თქვენი სახლი უწინ ოცი ათასი მანეთი ღირდა. ეხლა სამ ათასსაც ძლივს მოგცემენ.

— სამი კი არა, ორიც რომ მომცენ—მივცემ. შემჯავრდა ეს სახლი; სისხლი გამიშრო და დამაბერა. ხუთი წელიწადია მანეთი არ მინახავს. ჩემი ჯამაგირის მესამედი სახლზე მეხარჯება. დიდი ხანია დავაპირე გაყიდვა, მაგრამ ელენეს არ უნდა. რა ვქნა, მაგის მზითევია.

— ორი ათასი მანეთი ეხლა თვეში სულ ცოტა, ათას მანეთს მაინც მოიგებს.

— მეც მაგას ვამბობ, მაგრამ რა ვქნა, ვაჭარი არა ვარ. არც სილოვანი მყავს აქ.

კვაჭანტირაძემ ნელ-ნელა მოამზადა ალექსი. მან, კვაჭიმ კარგად იცის ვაჭრობის საქმე. გამოცდილება დიდი აქვს. სუხუმში საუკეთესო საქმე ჰქონდა, მაგრამ არ დააყენეს. ეხლაც ხშირად სხვის საქონელს ჰყიდის და ყიდულობს, მაინც დიდ ფულს იგებს. ამხანაგი ჰყავს ქვემო ბაზარში. გაკოტრდა. ნახევარ ფასში ჰყიდის საქონელს, რადგან ჩქარობს. რომ გაიარონ და ნახონ, კარგი იქნება.

— აჰა, კვაჭი, შეიტანე ბანკში. აქ სწორედ სამი ათასი ლირაა. გზაც იქითა გაქვს, არ დაიზარო. — და გადასცა გატენილი კონვერტი.

კვაჭიმ კონვერტი უბეში ჩაიდო.

ალექსიმ ჰკითხა:

— დღიური ვაჭრობა რამდენი გაქვთ?

— ზედიზედ რომ ვიანგარიშოთ, ხუთასი ლირა გამოვა.

— მოგება?

— სუფთა მოგება მესამედი მაინც იქნება.

უკან რომ ბრუნდებოდნენ, ალექსი ჩამორჩა. ჩაფიქრებული მოდიოდა და ანგარიშობდა:... „ეს შეადგენს დღეში 150 ლირას, თვეში შესდგება დაახლოვებით ოთხი ათასი ლირა მოგება. ოთხი ათასი! ჩემ წილად მოვა 1300 ლირა. ბონებზე რომ გადავიტანოთ, გამოვა... გამოვა...

გამოვიდა ოცი ან ორასი მილიარდი მანეთი.

„თავნს რომ ჩემი ორი ათასი მოვუმატოთ, ვაჭრობა ერთი მესამედით მაინც იმატებს, ე. ი. წმინდა მოგება თვეში ექვსი ათასამდის ავა. ჩემ წილად მოვა ორი ათასი, ე. ი. დღეში 70 ლირა..! ღმერთო დიდებულო! ამოდენა ფული როგორ უნდა დავხარჯო...“



ჯარის საზაფხულო დასვენება მანგლისში.

გაიარეს და ნახეს. ალექსიმ ერთი ნაცნობი ვაჭარი წაიყვანა. საქონელი და დუქანი მართლა ნახევარ ფასში იყიდებოდა.

ალექსი ჩაფიქრდა. გაკოტრებული ვაჭარი ჩქარობდა. კვაჭანტირაძე ამბობდა:

— გადასჭერით, ბიძიავ. მე ორი ათასი ლირა შემაქვს ამ საქმეში. ამხანაგი ბევრი მყავს, მეხვეწებიან, აღარ მისვენებენ.

ელენე კვაჭანტირაძეს მიემხრო. ჯერ გაუბედავად, მერე კი დაჟინებით მოითხოვა სახლის გაყიდვა. ელენე მოლარედ დადგება. კვაჭი ივაჭრებს. ალექსი კონტროლს გაუწევს, კვირაში ერთხელ წიგნებს გადაათვალიერებს.

წინათ ელენე ებღაუჭებოდა სახლს, ეხლა ალექსი ჩაფიქრდა. ერთი კვირის შემდეგ კვაჭანტირაძემ ხელმეორედ წაიყვანა ალექსი და ელენე შუა ბაზარში, აჩვენა წინანდელი მაღაზია, რომელიც საქონელით იყო სავსე, და გამოუცხადა, რომ კვაჭი მონახევრეა ამ საქმეში. მაღაზიაში ორი კაცი ვაჭრობდა.

ერთმა დაუდასტურა კვაჭანტირაძეს და დაუმატა:

ეხლა ალექსი ხარჯავს თვეში სამოც ლირას; ხარჯი რომ გაახუთოს და სამასი დახარჯოს, 1700—1500 ლირას მაინც გადაარჩენს. ეს დაიჭერს წელიწადში ოცი ათასს... ე. ი. ერთი წლის შემდეგ ათ სახლს იყიდის იმისთანას, როგორც ეხლა აქვს. ყოველთვიური მოგება ისევ საქმეში რომ ჩაყაროს, წლის ბოლოში ორმოცი—სამოცი ათასი გახდება.

ანგარიშები აერია ალექსის. ზეპირად სწორი ანგარიში შეუძლებელია. საჭიროა ფანქარი, ქაღალდი, განმარტოვება. ალექსის ეშმაკები ჩაუსხდნენ თავში და ტვინი აუდუღეს. ნაბიჯს უმატა. ჩქარობდა ნამდვილი ანგარიშის გამოყვანას. სახლში რომ მივიდნენ, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ კვაჭანტირაძე ჩამორჩა. გაიფიქრა:

— ალბათ ბანკში შეიარა ფულის შესატანად.

კაბინეტში ჩაიკეტა და შეუდგა გამოანგარიშებას. ძალიან ფრთხილად ანგარიშობდა: ხარჯს მოუმატა, შემოსავალს დაუკლო. მაინც ორმოციათასი ლირა გ მოდიოდა მოგება. თავის თავს არ ენდო. გამოვიდა ქუჩაში და გამოებაასა რამდენიმე ნაცნობს. ყველა ამბობდა, ეხლა ვაჭარი ფულში თვეში 25—30% აძლევსო, მაშასადამე ვაჭრობა თვეში 40-50% იძლევა.

ალექსი დარწმუნებული და უფრო შეხურებული დაბრუნდა. ეხლა ის მოუთმენლად ელოდა კვაჭანტირაძის დაბრუნებას. ელენეს ლაპარაკი ჩამოუგდო.

— ეხლა მხოლოდ უსაქმო ბედოვლათი ინახავს სახლს და ფულს,—სთქვა ელენემ.—ყველანი ამბობენ, რომ თვეში ეხლა მანეთს მანეთი მოაქვსო.

კვაჭის შესახებ სთქვა:

— მაგისთანა პატიოსანი, მშრომელი და გამრჯელი კაცი მე არ შემხვედრია. მთელი დღე ტრიალებს, ქვას წვენს ადენს, ამოდენა ფულს იგებს.

კიდევ დიდხანს აქეს კვაჭანტირაძე. მერე ორივენი დაწვნენ.

ალექსის ძილი გაუფრთხა. მთელი ღამე შამფურივით ტრიალებდა და ხან უზარმაზარ მოგებას ანგარიშობდა, ხან მოგების დახარჯვაზე ფიქრობდა, ხან კიდევ ეშმაკების დასაფრთხობად და ძილის მოსაყვანად იმეორებდა:

— ორჯერ ორი-ოთხი...ორჯერ სამი-ექვსი... ორჯერ ექვსი—რვა... ორჯერ რვა—ექვსი.



მიხა ცხაკაია ქართულ ჯარის პარადზე.

იმ ღამეს კვაჭანტირაძე არ დაბრუნდა. მამლებმა მეორედ იყივლეს ალექსიმ რომ ჩაიძინა.

III.

მეორე დღეს ალექსი მოუთმენლად ელოდა კვაჭანტირაძეს. სადილად მოვიდა. კარები ელენემ გაუღო და ისეთი საყვედურით ჰკითხა—სად იყავიო?—როგორც ცოლი ეკითხება ხოლმე ქმარს. კვაჭიმ ელენეს ხელზე აკოცა. მერე მოისმა ჩურჩული, დუმილი, ისევ ჩურჩული. ალექსიმ ჩაახველა და კვაჭანტირაძეს გაეგება. გაწითლებულმა ელენემ დაუხვედრა:

— მამა, კვაჭის დედა ჩამოსულა.

გაუხარდათ. კვაჭანტირაძეს არ უნდა მათი შეწუხება, ამიტომ მისი დედა ნათესავთან ჩამოხტა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ხვალვე მოვა იმათი გასაცნობად და მადლობის გადასახდელად.

სადილი რომ გაათავეს, კვაჭანტირაძემ მოკლედ და მკაფიოდ მოსჭრა:

— ბიძია ალექსი, დროა ჩვენი გულის ნადები და საიდუმლოება მოგახსენოთ. ელენე, ნუ მიდიხარ, შენც უნდა დაესწრო ჩვენს ლაპარაკს. რაღა დაგიმალოთ: მე და ელენეს ერთმანეთი გვიყვარს. დაგვლოცე.

ალექსი მოულოდნელობამ არია. ჯერ სდუმდა, მერე წამწამები აახამხამა, თვალები მოიწმინდა და აბუტბუტდა:

— ელენეჯან.... ჩემო კვაჭი.. ჩემო შვილებო... ღმერთმა გაგაბედნიეროთ... ჩემო შვილებო... ჩემო ელენეჯან... ჩემო კვაჭი...—თან ხან ერთს ეხვეოდა, ხან მეორეს. ელენეც ატირდა. კვაჭანტირაძე დადიოდა გამოჭიმული და გაბღენძილი, რადგან მან ერთხელ სიკვდილს გადაარჩინა ალექსი, ეხლა მანვე ამ ოჯახში შემოიტანა განუზომელი სიკეთე და ბედნიერება. ცოტა ხნის შემდეგ კვაჭი და ალექსი კაბინეტში გავიდნენ. კვაჭიმ სთქვა:

— პატიოსანი სიტყვა უნდა მომცეთ, ბიძია ალექსი, რომ ამ ამბავს ორი კვირით მაინც უუდიდეს საიდუმლოებად შეინახავთ. ელენეც გაჩუმდება. მერე გავმართავთ ნიშნობას. არც მე ვეტყვი დედა ჩემს. გაჩუმება საჭიროა. მიზეზს ნუ მკითხავთ. მერე მოგახსენებთ.

ალექსიმ პატიოსანი სიტყვა მისცა. მერე დაგუბებული დარდი მოუშვა. მან გადასწყვიტა სახლის გაყიდვა, რადგან „ჩვენს დროში მხოლოთ ბედოვლათი ინახავს ფულს და სახლს". კვაჭიმ უნდა მოიამხანაგოს ალექსი.

კვაჭანტირაძე ჩაფიქრდა. მერე ლობეყორეს მიედმოედო: მართალია, საქმე ძალიან კარგად მიდის, მაგრამ... კვაჭის დედამ ხუთი ათასი ლირა ჩამოუტანა. ამ ფულსაც კვაჭი საქმეში ჩაჰყრის. ოქრო საქმეა. გაფართოვება კარგია, მაგრამ... კვაჭანტირაძეს ეშინიან. კვაჭი კვაჭანტირაძე ძალიან ფრთხილი და ანგარიშის კაცია. ვაი თუ... ერთი სიტყვით, მოიფიქრებს.

ბოლოს კვაჭანტირაძემ ალექსის თითქმის უარი უთხრა. ალექსი თითქმის ეხვეწებოდა. მართალია, სახლი ელენეს მზითევია, მაგრამ მანამ ალექსი ცოცხალია, იმასაც უნდა ცხოვრება და დასვენება. კვაჭანტირაძე მოლბა. ჰკითხავს თავის ამხანაგს. დღესვე? კეთილი, რაკი ასე ეჩქარება ალექსის, დღესვე მისცემს პასუხს. სახლის უკანასკნელი ფასი? რაო? სამი ათასი? არა, ეს სახლი ეხლა სამი ათასად არ გაიყიდება. კეთილი. კვაჭანტირაძე მყიდველს მოსძებნის. ეცდება თუნდ ხუთი ათასში გაასაღოს. მაშ ასე: უკანასკნელი ფასი ორი ათას ხუთასი.

დანიშნულთა სადღეგრძელო დალიეს. იყო მხიარულება სამთა შორის, ზეიმი და ბედნიერება. ალექსი ისევ

ატირდა, ელენე სიხარულისგან იწოდა და იცინოდა, კვაჭანტირაძე ისევ ილიმებოდა და იბღინძებოდა.

მეორე დღეს კვაჭანტირაძემ სახლის გასასინჯად ვიღაც თათარი მოიყვანა. გაიმართა დიდი ვაჭრობა: სახლის ქება, ძაგება, განდიდება და დამცირება. სამი დღის შემდეგ ნოტარიუსთან წავიდნენ. საღამოზე ალექსიმ ორას-



ქარ. დივიზიის სასპორტო ჯგუფი.

ორმოცდაათი ოქრო ჩაუთვალა კვაჭანტირაძეს და ხელწერილი გამოართვა...

— „ყოველ შემთხვევისათვის". ვინ იცის, კაცნი ვართ...

— „კვაჭი კვაჭანტირაძე მოვალეა დაუთმოს ალექსი ირემაძეს მესამედი სავაჭროსი და ნაღდი მოგებისა...". და სხ. და სხვა..—ალბათ ასე იწერება სავაჭრო ამხანაგობის



არტილერიის გაკვეთილი.

ხელშეკრულობა, ფიქრობდა ალექსი, როცა კვაჭანტირაძეს ხელწერილს ინახავდა საბუთების ყუთში.

მეორე დღეს კვაჭი კვაჭანტირაძე გადავიდა სხვა ბინაზე. უხერხული იყო სიძესთვის ალექსის ოჯახში დარჩენა. სამი დღე კვაჭანტირაძე არსად სჩანდა. პირმოღუშული ელენე თავის ადგილს ვერ პოულობდა. ალექსი სამჯერ იყო ქვემო ბაზარში, მაგრამ ვერც კვაჭანტირაძე ნახა, ვერც მისი ამხანაგი ჯიქია. ბოლოს ალექსის უთხრეს:

— ჩვენ კვაჭი კვაჭანტირაძეს არ ვიცნობთ.

როგორ! მაშ ვისია ეს დუქანი? რაო?! შველიასი!? მაშ ჯიქია ნოქარი იყო?! არც იცით სად ცხოვრობს ჯიქია? რუსეთში წავიდა!..

დარეტიანებული და გაბრუებული ალექსი ბარბაცით უკანვე მოდიოდა, თან გულში ეჭვის გველი მოჭქონდა და გაფითრებული ტუჩებით ჩურჩულებდა:

— ღმერთო დიდებულო!.. ღმერთო მიხსენ სირცხვილისა და უბედურებისაგან... ღმერთო ძლიერო... ღმერთო დიდებულო...

სამჯერ აიარ-ჩაიარა ალექსიმ ვარდისუბნის ქუჩა. კვაჭანტირაძე ამ ქუჩაზე გადმოვიდა. ყველგან ეუბნებოდენ:



ქართ. დივიზიის დღესასწაული.



ჯარის და მუშების დაახლოვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართ. დივიზიის სამკითხველო.



ქარ. დივიზიის პოლკის სადილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქ არა სცხოვრობს... არ ვიცნობთ... არ გაგვიგია.

ვიღაცას გუშინ უნახავს კვაჭი კვაჭანტირაძე „არტო“-ში. რულეტს თამაშობდა, ამ კლუბის დიდი მუშტარია. ძალიან დიდ ფულს ატრიალებს. თან დასდევს ებრაელი ქალი რახილი. როგორ, ალექსიმ არ იცის ვინ არის რახილი! მთელმა ქალაქმა იცის. ჯერ ჯანოიანის საყვარელი იყო, მერე მამედოვისა, მერე ნეპმანისა. ეხლა ყველას კვაჭი კვაჭანტირაძემ წაართვა. მოთამაშენი მაშინ გაცოცხლდებიან ხოლმე, როცა კლუბში კვაჭანტირაძე გამოჩნდება. ვახშმად ისე არ დაჯდება თუ ათიოდე კაცი და ქალი არ მოისვა გარშემო.

საღამოს ცხრა სათიდან ალექსი „არტოს“ კარებთან ტრიალებს. საათის თერთმეტზე კვაჭანტირაძე ავტომობილით მოადგა კლუბის კარებს. ოთხნი გადმოვიდნენ: ორი ქალი და ორი კაცი. ოთხივენი ისე იყვნენ მორთულმოკაზმულნი, რომ შერცხვენილი ალექსი განზე გადგა,

— როგორ თუ გახსნი! აქამდის მეუბნებოდი, რომ სავაჭრო შენია და ჯიქიასი.

— ეგ ტყუილია. მე ეგ არ მითქვამს. მე და ჯიქია ვყიდულობთ მეთქი.

კვაჭი კვაჭანტირაძეს არ ესმის ალექსის პრეტენზიები. ალექსიმ კვაჭანტირაძეს ასესხა ორი ათას ხუთასი მანეთი, მაშასადამე კვაჭანტირაძეს ჰმართევს ალექსისა ამდენივე. მორჩა და გათავდა.! როდის დაიწყებს კვაჭანტირაძე ვაჭრობას? მალე... ნამდვილს ვერ იტყვის. ჯიქია სტამბოლში წავიდა საქონლის მოსატანად. თუ ალექსის არ შეუძლიან მოცდა და აღარ უნდა ამხანაგობა, ის უკანვე მიიღებს თავის ფულს... როდის? როცა ჯიქია საქონელს ჩამოიტანს და ეს საქონელი გაიყიდება. მორჩა და გათავდა! რაო? რატომ აღარ მიდის კვაჭანტირაძე ალექსის ოჯახში? ძალიან ფაქიზი საკითხია... კვაჭანტირაძეს ამაზე ეჩოთირება ლაპარაკი, მაგრამ რაკი ალექსის დაჟინებით უნდა მიზეზის გაგება, კვაჭანტირაძე იტყვის:



ქართველი კურსანტები.

გზა დაუთმო. მერე უცებ ქუდი მოიხადა, ამაყად მიმავალ კვაჭანტირაძეს დაეწია და თაკილით, მორიდებით, ღიმილით წაიბუტბუტა:

— კვაჭი... შვილო კვაჭი...

კვაჭანტირაძემ ძლივს მოიხედა, მკვახედ გადმოუგდო: არ მცალია!—და შეერია ხალხში.

არც იმ ღამეს ეძინათ ალექსის და ელენეს. გამწარებული და გაბრაზებული ალექსი ბოლთას სცემდა თავის ოთახში, მუშტებს უღერებდა კვაჭანტირაძეს და იმუქრებოდა:

— მაშ თუ ეგრეა, მე შენ გაჩვენებ, შე ჰარამზადავ, შენა!... შე სალახანავ... შე ჯიბგირო... დამაცა.. დამაცა...

მეორე დღეს ალექსიმ მიაგნო კვაჭანტირაძის ბინას და ორი საათი უცადა სახლის წინ.

ბოლოს კვაჭი კვაჭანტირაძე გამოვიდა. ალექსი წინ გადაეღობა. ერთმანეთს სალამი არ მისცეს.

— ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი... ეს რას ნიშნავს?

— არაფერს.-დინჯათ და გულმშვიდად მიუგო კვაჭანტირაძემ,—თან ოდნავ იღიმებოდა.—დაპირებულ სავაჭროს მალე გავხსნი.

— მაშინ არ ვიცოდი, რომ ელენეს წარსულში რომანი ჰქონია ვანო ხრამელთან.

რაო? თორმეტი წლის წინად იყო ეს ამბავი? გიმნაზიელების უბრალო გატაცება? შორით ოხვრა, შორით კვნესა, არა? კვაჭანტირაძემ არ იცის, დარწმუნებული არ არის. შეიძლება ყველაფერიც იყო... არავინ იცის. კმარა! კვაჭი კვაჭანტირაძეს ისეთი ოჯახი არა აქვს, რომ შიგ ფეხმოტეხილი ავეჯიან გაბზარული ვაზა შეიტანოს.

— რაო? მემუქრებით კიდეც! რით, როგორ? ნუ გავიწყდებათ, რომ მე თქვენთან ვახშამზე ვიყავი ხუთ აპრილს, რომ თქვენ ხმამაღლა პრაკლამაცია წაიკითხეთ და კონტრ-რევოლიუციონური სიტყვა სთქვით. თორმეტმა კაცმა დაადასტურა წერილობით, რომ მეც იქ ვიყავი. რაო, პროკლამაცია არ წაგიკითხავთ? სიტყვა არ გითქვამთ? ოთხმა თქვენმა სტუმარმა რამდენიმე მოწმის დასწრებით დაადასტურა ეს ამბავი. ათიოდე მოწმე არა კმარა? თქვენ თვითონ არ მითხარით „იქ“, სარდაფში? ჯალილა არ გახსოვთ? ისიც მოწმეა.

კვაჭანტირაძე ურჩევს ალექსის გაჩუმდეს. ამას ისევ ალექსის ინტერესი მოითხოვს. კვაჭანტირაძე დიდ პატივს სცემს ალექსის, იმის სახელს, ოჯახს და პატიოსნებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ აქამდის... ერთი სიტყვით, სჯობია ორივენი გაჩუმდნენ.

ეხლა კვაჭანტირაძეს არ სცალიან. საჩქარო საქმეები აქვს. ისედაც დაიგვიანა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ჯალილ, წავიდეთ!

და ამაყი სიარულით მივიდა ავტომობილთან, სადაც შოფერს გვერდით უჯდა ახოვანი თათარი, რომელიც ალექსის ულიმოდა, და ამაყად გამოიჭიმა შიგ.

ალექსი ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა სახლში.

ელენე თითქმის აღარაფერს სჭამდა, აღარავის ელაპარაკებოდა, სახლიდან აღარ გამოდიოდა, ტიროდა, დარდობდა და მამას საყვედურით ავსებდა. ყოველი მისი სიტყვა, მისი დარდი და ცრემლი ალექსის ტყვიასავით ხვდებოდა გულში. ალექსი ერთ თვეში ორად მოიხარა, დაბერდა, გათეთრდა, გახდა და დაპატარავდა. ხანგამოშვებით, დაკარგული სახლი და გულგატეხილი ელენე რომ მოაგონდებოდა ხოლმე, აცეცხლდებოდა, აცქმუტუნდებოდა, აპილპილდებოდა: გიჟივით დარბოდა თავის ოთახში, კვაჭანტირაძეს მუშტებს უღერებდა და იმუქრებოდა:

— დაიცა... დამაცა... მე შენ გაჩვენებ, შე ჰარამზადავ, შენა! დაიცა... დამაცა...

IV

ერთხელ ალექსის ოთახში ვინმე ახოვანი თათარი შემოვიდა.

— გამარჯობა, ბიზია! ჯალილა გახლავარ.—თან კაკლის ოდენა თვალებით იღიმებოდა, ცხენის კბილებს თეთრად აელვებდა.

— ჯალილ, შენა ხარ?—გაუხარდა დაღონებულ ალექსის.

— ჯალილა ვარ. ვერ მისანით. „იქ“ ზალიან ბნელოდა.

— დაჯექი, ჯალილ, დაჯექი. მიამბე, როგორა ხარ.

— ჩოხ რაზიამ (მადლობელი ვარ) ბიზია ჯან. ჩემმა ზმამ მიშოლა. შენი ტელეგრამი აიღო. ჩოხ რაზიამ, ჩოხ! ეს ფეშქეში აიღე, ბიზიაჯან.—ჯალილამ გახსნა პაწაწა ბოხჩა და გადმოშალა ერთი ადლი მშვენიერი ხალიჩა.

— ჯალილ, რათ გაისარჯე, რისთვის, რა საჭირო იყო?

— ბიზიაჯან, შენი ტელეგრამი ზალიან მიშოლა. აიღე შენი ჩირიმე, თორემ ზალიან მესხანება. აიღე, ბიზიაჯან, აიღე.

ჯალილა იხვეწებოდა, იღიმებოდა, იმუდარებოდა. ალექსიმ დიდი მადლობა გადაუხადა, კონიაკით ჩაი დაალევინა, ხილი მიართვა.

— ეხლა კოჩანთირაზეს ყულლულს ვაქეთებ. კარგი ბატონია. ბოვრი ფული აქვს. ხუმარა კასია. თქონც სუდი ხუმრობა გიყოთ „იქ“, სხობიც მოატყუა. ბევრი ვისინეთ. ერთხელ თითონ ჩავარდა ორმოში.

— ჩავარდა? მერე, როგორ ამოვიდა? ჯალილამ გადიხარხარა.

— ბიზიაჯან, კოჩანთირაზე ხუმრობდა. ორმო არ არის. ხა-ხა-ხა!

ალექსიმ ძალაუნებურად შეადარა ერთმანეთს გათლილ-განათლებული კვაჭანტირაძე და ეს გაუთლელ-მოუხეშავი თათარი, და გული დაეწვა, აემღვრია და აუშფოთდა.

ჯალილა რომ წავიდა, ალექსიმ ისევ მუშტები მოიღერა და წაიბუტბუტა:

— დაიცა... დამაცა შე ჯიბგირო, შე ჰარამზადავ... დაიცა.. დამაცა...

მალე მოვიდა კიდეც დღე ალექსის შურისძიებისა და კვაჭანტირაძის განკითხვისა: კვაჭანტირაძე ისევ დააპატიმრეს და იმავე ბნელ სარდაფში ჩააგდეს „გველებთან, ხვლიკებთან, ბაყაყებთან და ჭინკებთან“ რამდენიმე დღით ადრე დაიჭირეს კვაჭანტირაძის ამხანაგი ჯიქია, რომელიც „მაშინ“ ალექსის მაღაზიაში დაუხვდა, ხოლო შემდეგ „სტამბოლში წავიდა საქონლის მოსატანად“. ჯიქია გამოტეხილა და უთქვამს, ვითომ ხუთ აპრილს, ღამის ორ საათზე იმან და კვაჭი კვაჭანტირაძემ ვერაზე ვიღაც სომეხი გაცარცვეს.

ალექსი აღელვებული დარბოდა თავის ოთახში და ჟინის მოგებით ბუტბუტებდა;

—ღმერთი ჰარამზადას ურმით დასდევს, მაგრამ მაინც დაეწევა ხოლმე, ღმერთო მაღალო! საკვირველ არიან საქმენი შენნი და ულმობელ არს სამართალი შენი. ეხლა რას იტყვი, შე ჰარამზადავ, შენა! ეხლა ვინ გიშველის! ალექსი ირემაძის იმედი ხომ არ გაქვს! გიშველი, კარგად გიშველი. ერთ ლოდს მეც მოგაყოლებ.

ალექსი შურისძიებისთვის ემზადებოდა, მაგრამ...

მალე ალექსი, ელენე და მათი ათი სტუმარი მეორედ, მესამედ და მეოთხედ დაიბარა გამომძიებელმა. მას აქეთ ირემაძე აღარ იმუქრება. აგერ მესამე თვეა რაც დალეულ-დაქანცული ალექსი დაცუნცულებს თავის სტუმრებთან და ჩაკეტილ ოთახში შიშით და სიფრთხილით ჩურჩულებს:

— მე ისევ ვაჩვენე, რომ იმ ღამეს კვაჭი კვაჭანტირაძე... ერთი სიტყვით, ჩვენებაში არაფერი შემიცვლია... არ გაბრიყვდეთ, არავინ გადასთქვათ, არ გამოტყდეთ, თორემ... ეს ხომ იცით ყალბი ჩვენებისთვის ეხლა რა მოგველის. გარდა ამისა, გამომჟღავნდება პროკლამაციის ამბავიც. მართალია, პროკლამაციები მე დაგირიგეთ, მე წაგიკითხეთ, სიტყვაც ვთქვი, მაგრამ თქვენც ხომ ყურს მიგდებდით, თქვენც ლაპარაკობდით და პროკლამაციებიც წაიღეთ.

თორმეტმა მოწმემ ისე შეჰკრა პირი, რომ ეს ამერიკული კლიტე ვერაფრით გააღეს—ვერც მარწუხებით, ვერც გასაღებით, ვერც მუქარით და ვერც ალერსით. ალექსი დღე და ღამე ამ კლიტეს დასტრიალებდა, ყოველდღე მასზე ფიქრობდა და ზრუნავდა, ათვალიერებდა, ზომავდა, ყველას არიგებდა, აშინებდა და გამამხნევებით, დაჟინებით, მტკიცედ და თავგანწირვით ებრძოდა გამოძიებას.

ბოლოს საქმის გარჩევის დღეც მოვიდა. თორმეტმა მოწმემ ფიცი მიიღო. მერე, დილიდან საღამომდის, ყველა მოწმენი, როგორც ერთი კაცი, ერთნაირად იმეორებდნენ მტკიცედ, დაჟინებით და რიხიანად:

— კვაჭი კვაჭანტირაძეს ძალიან კარგად ვიცნობ. ხუთ აპრილს ჩვენთან ერთად ვახშმად იყო ალექსი ირემაძესთან... სწორედ ცხრა საათზე მოვიდა და დილის ექვსე წავიდა. ძალიან მთვრალი იყო. ოთახიდან ერთხელაც არ გასულა. რას აკეთებდა? რას აკეთებენ ხოლმე ვახშამზე! მუსაიფობდა, მღეროდა, არშიყობდა, ცეკვავდა, სვამდა, მხიარულობდა... დიაღ, ამას ვფიცავ და ვამტკიცებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მართლა დაამტკიცეს. ჯიქიას ჩვენებამ არ გასჭრა. ცხადად დამტკიცდა, რომ ჯიქიას უნდოდა კვაჭანტირაძის ჯავრის ამოყრა და მისი ფულის მითვისება. ოციოდე მოწმემ ცხადჰყო, რომ მათ დიდი ხნის ანგარიშები ჰქონდათ, რომ ჯიქიამ მიიღო კვაჭი კაჭანტირაძესგან ხუთი ათასი ლირა სტამბოლიდან საქონლის მოსატანად, მაგრამ ალბად ფული გაფლანგა. ამიტომ მოინდომა მან კვაჭანტირაძის ჩათრევა ამ საქმეში და დაღუპვა, მაგრამ...

— სამართალი კიდევ არის ამ ქვეყნად! — ყვიროდა ვექილი. — ნემეზიდამ თვისი რკინის ხელი ჩაავლო კისერში ჯიქიას, რომელიც ტყვილად ფართხალობს, და უდანაშაულო კვაჭანტირაძის გაჭუჭყიანებით ტყვილად ფიქრობს თავის შავი სახელის გათეთრებას! დაე მარტო მან აგოს პასუხი! ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე უნდა დაუბრუნოთ იმის პატიოსან დედას, იმის უმწიკვლო დანიშნულს და ამოდენა მეგობრებს, რომელნიც აქ უცდიან თქვენს პირუთვნელ განაჩენს. სამართლის ღმერთი თვალაბმულია, მაგრამ ბრმა არ არის. მან უკვე ასწია სასწორი. მოსამართლენო! დაგვიბრუნეთ ეს ახალგაზდა და ყოვლად პატიოსანი ყმაწვილი, ეს ნიჭიერი, ჭკვიანი, ხერხიანი და სასარგებლო წევრი საზოგადოებისა. ვერა, თქვენ ვერ დასჯით მას! ხელი აგიკანკალდებათ, გული აგიტოკდებათ!

ასე დაამთავრა კვაჭი კვაჭანტირაძის ვექილმა თვისი სიტყვა.

მოსამართლეებს მართლა გული აუტოკდათ და ხელები აუკანკალდათ. ჯიქია დაიღუპა. ხოლო კვაჭი კვაჭანტირაძე მხიარული ღიმილით, ამპარტავნად, თამამად ჩამოდიოდა სასამართლოს კიბეზე. მარცხნივ მოსდევდა მისი „უმწიკვლო დანიშნული“, რახილი, მარცხნივ — დედა, უკან მოსდევდა ვექილი. კვაჭანტირაძე მარჯვნივ და მარცნივ ხელს ართმევდა თავის ნაცნობ-ნათესავებს და ეუბნეოდა:

— გმადლობთ, მეგობრებო, დიდათ გმადლობთ. ღმერთმა დიდი ხიფათისგან მიხსნა. გმადლობთ... ათასჯერ გმადლობთ. —

კარებთან ყველანი შემოეხვივნენ. უცებ კვაჭანტირაძე ალექსის და ელენეს შეეჩეხა. — ბიძია ალექსი! ქალბატონო ელენე!.. ღმერთო ჩემო!.. — ალექსის გადაეხვია, ელენეს ხელზე აკოცა. — გმადლობთ, ბიძია ალექსი, გმადლობთ ქალბატონო ელენე.. სულით და გულით გმადლობთ. დამნაშავე ვარ თქვენს წინაშე, მაგრამ იმედი მაქვს, რომ უკვე მაპატიეთ, ჩემს დღეში ჩავარდნილ ადამიანს ყველაფერი ეპატიება. ბიძია ალექსი! — და ალექსი ცოტა გვერდით გაიყვანა. — ხომ ხედავთ ამ ჰარამზადა ჯიქიამ რა მიყო. რაც დასთესა, ის მოიმკო. იმოდენა ფული გაგვიფლანგა და კინალამ თან გადამიყოლა. ნუ შესწუხდებით, ბიძია ალექსი. ღმერთი დიდია. თქვენს ვალს მაინც გადაგიხდით... მალე, ძალიან მალე გადაგიხდით... — მერე მოუბრუნდა ყველას:

— მეგობრებო! ხუთი აპრილის ვახშამი დღეს უნდა გადაგიხადოთ. გთხოვთ ყველას მეწვიოთ ათ საათზე „არტოში“. თქვენც უნდა პატივი მცეთ ბატონო ალექსი, თქვენც, ქალბატონო ელენე. კიდევ ერთხელ ყველას მადლობა და გამარჯვება. მაშ ასე: საღამოს ათ საათზე ყველას გელით „არტოში“.

ხუთი აპრილის ვახშმის ხსენებაზე ზოგმა გაიღიმა, ზოგმა გაიცინა. ჯალილამ ავტომობილი მოაგრიალა. კვაჭი კვაჭანტირაძე, მისი „უმწიკვლო“ რახილი, დედა და ვექილი წავიდნენ. დანარჩენებიც ნელ-ნელა დაიშალნენ. იმ ვახშამმაც დილის ექვს საათამდის გასტანა. კვაჭიმ ხუთი მილიარდი გადაიხადა.

მას აქეთ ელენეს რომ გაახსენდება ხოლმე დაკარგული სახლი, სიმწარით თითებს იკვნეტავს, საჭმელს არ ეკარება კარჩაკეტილში ტირის და დარდობს, ხოლო ალექსი დარბის თავის ოთახში, დალეულ მუშტებს უღერებს დაკარგულ სიძეს და იმუქრება:

— დაიცა... დამაცა შე ჯიბგირო, შე ჰარამზადავ, შენა... ღმერთი დიდია, გადაგიხდის... დაიცა... დამაცა...

# ცეცხლის რაშებში.

ქარი დაჰქროდა ფაფარ აშლილი
ცეცხლის ვულკანზე წითელი ფრთებით,
გულის ფიცარზე სევდა წაშლილი
და ლტოლვა მარად ცეცხლის რაშებით.
ჩვენ ვიმღეროდით ბრძოლის ჰანგებით,
ქუჩა ღელავდა ბარიკადებით;
ბრძოლის ველს კიდევ დავენატრებით
სისხლის ღვარებით და ნაკადებით.
ის ახარებდა სულს აჯანყებულს,
რომ მოველოდით დილით განთიადს
და ის უნდოდა ცეცხლათ ანთებულს
გადახვეოდა მომავალს დიადს,
ცეცხლის ალებით იწოდა სული
და წაუშალეთ საზღვრები ლტოლვას;
ზღვებს აოცებდა ჩვენი მხარული
და პოლიუსებს ამაყი ქროლვა.
მთის ორწოხებში ღამე დავმარხეთ
და განთიადზე დღეს ქორწილი გვაქვს;
ო, როგორ ბრწყინავს მომავლის სახე
და მზე-დედოფალს სიყვარულით სწვავს.
ეი, მაყრული და კრიმაჭული!..
დღეს ქორწილი გვაქვს და ვიქეიფოთ!
განზე გამდგარნო, იყავით კრული!
ჩვენ უთქვენოთაც სამყაროს ვიპყრობთ!

სანდრო ეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი და ახალი.

(„წარსულის და აწმყოს“ სერიიდან)

## ძველი



**წითელი გენერალი იოსებ გედევანიშვილი.**

ცნობილი დრამატურგი (ავტორი „სინათლის“, „გამცემის“ „მსხვერპლის“ და სხვ.) საზოგადო მოღვაწე, სარდალი, ყოფ. წევრი მემარცხენე სოც.-ფედერალისტების პარტიის, რომლის უკანასკნელ კონფერენციაზე იცავდა კომპარტიასთან გაერთიანების იდეას და განაცხადა, რომ თვითაც გადადის კომუნისტურ რიგებში და მზადაა თავისი ძალღონე შესწიროს საბჭოთა წყობილების განმტკიცებას. იმედია, ი. გედევანიშვილი, ამიერიდან როგორც წითელი გენერალი დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს წითელს ლაშქარს.

შუაღამეა. ღრუბლებში გახვეული მთვარე ოდნავ ანათებს, ზოგჯერ სულ მიიმალება და არეს შავი სუდარა გადაეფარება, ზოგჯერ კი დაახწევს ღრუბელს და ვერცხლის ფრად უცბად შეღებავს მთებს, ველებს და მთის კალთას გადაშლილს პატარა დაბას. ზამთრის პირია, ცივა, ნელი სიო ულიტინებს მიძინებულ დედამიწას, ველარავის უჩურჩულებს, ფოთლები აღარაა და მოწყენილი გაჯავრებული ეხვევა ხის ტოტებს, მაგრამ უგრძნობნი ხმას არ აძლევენ. მხოლოდ მაღლა ბოძებზე ჩამოკიდებული მავთული დაუბზუებს და დაშტვენს, თორემ სხვა არავინ სიოს ხმას არ აძლევს, პატარა დაბას სძინავს, მხოლოდ ერთს დიდს შენობიდან მოისმის სამხედრო მუსიკის მარში: საკრავებს ხმა ამოხლაწია, თითქოს ისინიც დაითვრენ ისე როგორც დამთვრალი და გალეშილია ადგილობრივ დაბინავებულ პოლკის ოფიცრობა. ხშირ ხშირად გაიღება ოფიცერთა საკრებულოს კარი და ბარბაცით გამოდის ოფიცერი და მიემართება შინისაკენ. შაბათია და დღეს ჩვეულებრივად საცეკვაო საღამოა, კარტით, არაყით და ღვინით.

აგერ გამოვიდა ერთი და იქვე კარებთან წაბარბაცდა, ხმა მაღლა საზარლად შეიგინა.. ვის აგინებდა? თავის თავს, თუ სხვას? მაგრამ სხვა არავინ ჩანს... მაშ ალბად დედამიწას ან კარებს... წამოვიდა, მაგრამ მოდის ისე როგორც უხეიროდ გაშვებული ბზრიალა, ხან უცბად შეჩერდება, ტოკავს, ხან აქეთ ხან იქით მიეხეთქება, თავი ფეხს არა ჰყვება და ფეხი თავს, ხრინწიანი ხმით რაღაცას ბუტბუტებს, მიუახლოვდა ტელეგრაფის ბოძს, შეჩერდა და უცბად შეჰყვირა:

„რომელი ხარ?.. რატომ სალამს არ მაძლევ? რომელი როტის?.. შე“... და შეაკურთხა... არ გესმის? რას გაჩუმებულხარ?“ წაიწია წინ და დაარტყა მუშტი ბოძს, ველარ შეიკავა თავი და იქვე დაენთხა მიწაზე... კვლავ საშინელი გინება... „ბოძი ყოფილა... მე კი მეგონა... ვინაა... ნუ თუ ასე დავითვერი“?.. შეცადა ორჯელ სამჯერ წამოდგომას, კვლავ დაეცა, მერე როგორც იყო წამოდგა და ბარბაცით გაუდგა გზას.

მივიდა სახლთან, აბობღდა პატარა კიბეზე და დაუწყო ხელით და ფეხით საშინელი რახუნი კარს, გაიღო კარი და იქვე კარებში მიეგება სანათით ხელში „დენშჩიკი“.

თითქმის მუდამ დღე ამ სახით ბრუნდებოდა ოფიცერთა საკრებულოდან პორუჩიკი წვრილაძე, თითქმის ყოველ შუაღამეს და ხშირად გათენებამდე მას უცდიდა „დენშჩიკი“ გიგო კანდელაძე და ვაი იმას თუ არ მიეგებებოდა პორუჩიკს. შევიდა თუ არა წვრილაძე ოთახში მიაძახა გიგოს: „ჩაი?“—„მზად გახლამს, ბატონო, ამ წუთში მოგართმევ!!!

„აქ, მაგიდაზე უნდა იყოს, რამდენჯერ მითქვამს შე.!! შეაგინა.

— „არ ვიცოდი, ბატონო, როდის მობრძანდებოდი... გაცივდებოდა!“

„შე“.. კვლავ გინება, „აქ, მაგიდაზე უნდა იყოს... რას გაჩერებულხარ?.. პალტო? ხომ არ გინდა ცხვირში?!!

გიგო მივარდა, გახადა პალტო, წაიღო დასაკიდებლად, მაგრამ პორუჩიკი არ აცლის.

„ჩაი! ვირო, ჩაი! ვერ გაიგე?“

— „ამ წუთში, ბატონო,“ სწრაფ ჩამოჰკიდა გიგომ პალტო და გაექანა სამზარეულოსაკენ, მაგრამ პორუჩიკმა კვლავ შეჰყვირა: „სად ჯანაბაში მიეთრევი?... ხმალი?“ გიგო მოტრიალდა, ჩამოართვა ხმალი. პორუჩიკმა კვლავ ისევ შეჰყვირა: „ჩაი!“ გიგომ ხმალი დადო და ისევ ეცა სამზარეულოსაკენ.

ისევ გინებით შეაჩერა პორუჩიკმა: „შე.... ვირისთაო, ჩექმა!“.. პორუჩიკი ჩამოჯდა, გიგო მივარდა, დაუწყო ფეხთ გახდა.. „აი შენი“.. შეაგინა პორუჩიკმა და ჩექმით მაგრა ამოჰკრა ნიკაპში. უკანგადავარდა გიგო, გაფითრდა, აკანკალდა ბრაზისა და ტკივილისაგან...

„მამაძაღლო, ფეხი მატკინე... აქამდინ ვერ ისწავლე წაღის გახდა?!!

ლ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. ბიბლიოთეკა

გიგო ხდის ფეხთ, პორუჩიკი კი თავში უქაპუნებს და თან მოსთქვამს: „ჩაი, ჩაი, ჩაი!“ ახლა იცინის უხარიან...

გიგოს თვალს ცრემლი მოადგა, იწვის ბრაზით, მაგრამ რას იზამ. ზორბა და მხარბექიან, ღონიერ გიგოსათვის საკმარისი იყო ერთი ხელის განძრევა, რომ მოლეული და სუსტი ქონდრის კაცი პორუჩიკი მტვრად ექცია, მაგრამ... რას იზამ?...

და ყოველ დღე და ღამე ასეთი სცენები. გიგო კანდელაძე წელიწადზე მეტია მსახურობს ჯარში: და ვაი ამ სამსახურს, მოგლიჯეს სამშობლოს, მოსწყვიტეს მშობლებს და უკრეს თავი პოლკში. გიგომ „ინჩი“ არ იცოდა რუსულად და მთელ მის როტაში მხოლოდ მარტო იგი იყო ქართველი. დანარჩენი ყველა რუსია, როტის უფროსიდან დაწყებული უბრალო ჯარის კაცამდე, გიგოს ენა არ ესმოდა და სწორედ ეს საშინლად აბრაზებდა უფროსებს. დარწმუნებულნი და შეჩვეულნი იმას, რომ მხოლოდ დატუქსვით, ცემით, მუჯლუგუნებით შეიძლება წვრთნა და სწავლაო, ყველა: ეფრეიტორი, უნტერ-ოფიცერი, ფელფებელი და ოფიცრები მოვალეობად სთვლიდენ, შეხვდებოდათ თუ არა გიგო ან მუჯლუგუნი ეკრათ, ან ყბაში ამოერტყათ ან ყურში. და ისიც სიცილით, თითქოს უალერსებენო. მეცადინეობისა და ვარჯიშობის დროს ხომ გიგოს ტანჯვას საზღვარი არა ჰქონდა. წინიდან ოფიცერი და ოცეულის უფროსი, უკნიდან ეფრეიტორი-მასწავლებელი რიგრიგობით ურტყამენ, არ ესმის გიგოს, თუ რას ეუბნებიან. „თავი მაღლა!“ რუსულად დასძახის ოფიცერი, გიგო თავს დაღუნამს, მივარდება ოფიცერი, უყვირის; „თავი მაღლა, მაღლა, მაღლა,“ და თან ნიკაპში სცემს, სცემს... და ასე მუდამ დღე, გაბოროტდა, გაბრაზდა გიგო, ყველა შეეჯავრა... მაგრამ გულში იკლავდა ბოღმას, ან და რას გააწყობდა.

პოლკის უფროსი ქართველი პოლკოვნიკი იყო. ათასში ერთხელ თუ გაივლიდა და დაათვალიერებდა როტებს, ეს დათვალიერება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ შემოვიდოდა ყაზარმაში, მიესალმებოდა სალდათებს, აუცილებლად თვალებს დააჭყეტდა, სახეზე სიმკაცრე აღებეჭდებოდა, დატუქსავდა ერთს მეორეს. სალდათებიც „ზდრავია ჟელაემ“-ს შეჰყეფდნენ, პოლკოვნიკი ორიოდ სიტყვას ეტყოდა როტის უფროსს და წავიდოდა.

მხოლოდ ერთხელ, ეს დღე გიგოს არასოდეს დაავიწყდება, პოლკოვნიკმა დაუარა როტის რიგებს, მიუახლოვდა გიგოსაც, დააცქერდა. ალბად იცნო ქართველიაო და ქართულად შეეკითხა: „ქართველი ხარ?“ გიგოს გული აუძგერდა, გაუხარდა და გახარებულმა, ღიმილით შესძახა: „დიახ, ბატონო!“

„როგორ მეცადინეობ? ხომ არავინ გაწუხებს, ხომ არ გავიწროებენ? „შეეკითხა პოლკოვნიკი.

ვერ მოითმინა გიგომ; მთელი თვეობის ტანჯვა, და დამცირება, ბოღმა გულზე მოადგა და კანკალით შესძახა: „მცემენ ბატონო!“ და იმდენი ტკივილი, ისეთი საშინელი სევდა და ტანჯვა თან ამოჰყვა ამ სიტყვებს, რომ პოლკოვნიკის გაქვავებული გულიც კი შეტოკდა. შეიჭმუნა სახე პოლკოვნიკმა, მის სახეზე სიმკაცრე აღიბეჭდა. „რას მიედმოედები, ვინა გცემს?“ შეუტია პოლკოვნიკმა გიგოს. გიგო შეკრთა, მაგრამ თავში გაუარა: „ე, მაინც ჩვენი კაცია; გული ექნებაო,“ და მიუგო პოლკოვნიკს: „ყველა მცემს, ბატონო, ყველა უფროსები, გვერდები და ყბები ჩამტვრეული მაქვს“, უკვე ცრემლით შესჩიოდა გიგო.

პოლკოვნიკი მიტრიალდა და გასწია იქით. უხერხულად გრძნობდა თავს. მთელ როტაში ერთი ქართველია და მხოლოდ ამ ერთმა განაცხადა „საჩივარი“, არც ერთს სხვას კრინტი არ დაუძრავს, მიუხედავად იმისა, რომ ყველას ხვდებოდა მუშტი და მუჯლუგუნი. მაგრამ ესენი რას გაბედავდნენ, უფროსები უმალ გაიგებდნენ და ვაი მომჩივანის ბედს. სალდათებმა გამოცდილებით იცოდნენ, რომ ყოველ საჩივარს უარესი მოსდევს.

პოლკოვნიკი კი მუდამ იმის ცდაში იყო დაემტკიცებინა უფროს უმცროსებისათვის რომ მას ქართველობისა არა სცხია რა და იგი ერთგულია მეფის და რუს ბიუროკრატიისა.

არა, ამ შემთხვევაში პოლკოვნიკი ვერ გამოესარჩლებოდა გიგოს, და საქმეს კანონიერს მსვლელობას ვერ მისცემდა. დარწმუნებული კი იყო, რომ გიგო სრულ ჭეშმარიტებას ლაპარაკობდა. პოლკოვნიკმა გაიხმო გუნდის უფროსი და დაუწყო: „კმაყოფილი ვარ თქვენი გუნდისა. ვიცი, თქვენ გამოცდილი და ნიჭიერი უფროსი ხართ. თქვენი ჯარის-კაცები ყოჩაღათ გამოიყურებიან, ეტყობა უფროსები კარგად ეპყრობიან, არ ჰყავთ დაშინებული, აქ ღიმილით დაუმატა პოლკოვნიკმა: „ის, ერთი ქართველი სჩივის, მცემენო... ხომ იცით ეგ „ტუზემცები“ დისციპლინას და წესიერებას ჩვეულნი არ არიან. დარწმუნებული ვარ ვისმე მოთმინებიდან გამოიყვანდა და იქნება ცოტა ჭკუა ასწავლეს. მე გთხოვთ ყოველ გაუგებრობის თავიდან აცდენისთვის, გააფრთხილეთ უფროსები, მაინცდამაინც მეტის მეტად ხელებს ნუ ავარჯიშებენ“ და სიცილით დაუმატა პოლკოვნიკმა, „კბილებს ხშირად ნუ დაუთვლიან, ხომ იცით ბოლოს დროს სასტიკი ბრძანებები და განკარგულებანი მოგვდის ამის თაობაზე... ბოლოს და ბოლოს სწორედ გითხრათ ჩემის აზრით ბევრად უკეთესია ცოტა მამაშვილურად ჭკუა ასწავლო ჯარისკაცს და სასამართლოში კი არ უკრა თავი... მხოლოდ ხომ იცით უფროსობა ამას ეხლა ყურადღებას აქცევს და ცოტა არ იყოს ჩვენც ფრთხილად უნდა ვიყვეთ“...

— „მესმის, ბატონო პოლკოვნიკო, და რაც შეეხება იმ ქართველს, სულ ტყუილია.. მე პირადათ თვალყურს ვადევნებ, რომ მაგვარ საქმეს ადგილი არ ჰქონდეს. თქვენ თვითონ დარწმუნდით, არც ერთ ჯარისკაცს არ უჩივლია... ის ქართველი მეტის მეტად ზანტი და ჯიუტია, არავის უგონებს“.

მაშ თუ აგრეა“, უპასუხა პოლკოვნიკმა, „რაც შეიძლება სასტიკად მოექეცით“ წავიდა პოლკოვნიკი, დარწმუნებული რომ კეთილ სინდისიერად აასრულა თავისი მოვალეობა და საკმაო მზრუნველობა გამოიჩინა ხელქვეითთა მიმართ. ის იყო პოლკოვნიკი გუნდიდან გავიდა და გუნდის უფროსი უმალ ეძგერა გიგოს.

„ახ, ტი, სვოლოჩ“! შეჰკივლა და შემოჰკრა ყბაში გიგოს გუნდის უფროსმა, „გადინა, ვსიუ მუზიკუ ისპორტილ!“ გიგო წაბარბაცდა, მაგრამ მალე ისევ წელში გასწორდა.

„ჟალოვატსია!“ კვლავ შეჰკივლა უფროსმა და მაგრად გაარტყა შიგ ყურის ძირში. გიგო წაიქცა, თითქოს რიღათიც საშინლად უჩხვლიტეს ყურშიო, აუტანელ ტკივილს გრძნობდა ყურში, ცხვირიდან სისხლი წასქდა, რამოდენიმე ჯარისკაცი მისცვივდნენ გიგოს, წამოაყენეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღელვება და ბრაზი ემჩნეოდა ჯარისკაცებს. ზოგი ამშვიდებდა გიგოს, წაიყვანეს, პირი დააბანინეს.

ნიჩავო, ნიჩავო!“ ეუბნებოდნენ: „სლუჟბა ბრატ, ნიჩავო ნი პადელაეშ!“ ყურის ტკივილმა მთელი ღამე არ მოასვენა გიგო. დილით ისე ცუდათ შეიქმნა, რომ ოცეულის უფროსმა ექიმთან საავადმყოფოში გაგზავნა.

ექიმმა გასინჯა გიგო. ყურის აპკა გახეთქილი აღმოჩნდა. გამოჰკითხა როგორც იყო გიგოს და გაიგო ამბავი. ექიმმა არ იცოდა რა ექნა: კანონით ვალდებული იყო ეცნობებინა ასეთი შემთხვევა პოლკის უფროსისათვის და თუ საქმეს კანონიერი მსვლელობა მიეცემოდა, მაშინ როტის უფროსი სასამართლოს ვერ ასცდებოდა. მაგრამ სწორედ გიგოს როტის უფროსი დიდი მეგობარი იყო ექიმისა. ექიმმა კარგად იცოდა, რომ სალდათებს ხშირად სცემენ ყველანი, ვისაც კი ხელქვეით სალდათები ჰყავს. ამას ექიმი დიდი ხანია შეეჩვია და ეხლა არც ეუცხოებოდა. რასაკვირველია გატეხილ თავს და დასისხლიანებულ ცხვირ პირს იგი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა, მაგრამ აქ ადამიანი პირდაპირ დასახიჩრებული იყო და კანონიც გარკვეულად ავალებდა ექიმს, ემცნო ეს უფროსებისათვის.

თან კიდევ გულის სიღრმეში ექიმს ადამიანური გრძნობა სავსებით არ წაშლოდა და აშკარა ველურობას ხედავდა, მაგრამ..... თუ დაასმენდა, მთელი ოფიცრობა ამხედრდებოდა მის წინააღმდეგ.... დიდხანს იყოყმანა ექიმმა, თან გულს იმით იფხანდა, რომ უდიერად და უხეშად ეპყრობოდა გიგოს, თითქოს მასზედ იყრიდა ჯავრს, რომ ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო. მაგრამ ბოლოს მაინც შეშინდა და დასწერა პატაკი პოლკის უფროსის სახელობაზე, მხოლოდ გადამწერს უბრძანა პატაკი ხვალ დილით შეიტანე პოლკის კარცელარიაში-ო.

იმავე დღეს ექიმმა გიგოს როტის უფროსი ინახულა და აუხსნა მას რა შედეგი მოჰყვა გიგოს ცემას.

როტის უფროსი მეტად შეშინდა და დაუწყო ხვეწნა ექიმს, ნუ გაამხელო. ექიმმა დაარიგა, ვიდრე ჩემი პატაკი პოლკის უფროსს მიუვა, ინახულე იგი შენ თვითონ და ყველაფერი მოახსენეო.

საღამოს ყველამ უკვე იცოდა გიგოს ამბავი, იცოდნენ აგრეთვე რომ ექიმმა აცნობა ეს პოლკის უფროსს. ოფიცრების აღელვებას ექიმის წინააღმდეგ საზღვარი არა ჰქონდა.

„ასე თუ ყოველ წვრილმალზე ალიაქოთი ასტეხეს, მაშინ სამსახური შეუძლებელი გახდება“—გაიძახოდნენ ერთნი.—„რა უყოთ, უცბად მოუხდა, ხომ არ უნდოდა,“ ამართლებდნენ მეორენი როტის უფროსს.

„გამოუცდელია, პრაქტიკა ნაკლები აქვს, იძახდა ძველი ღიპიანი კაპიტანი გიგოს როტის უფროსის შესახებ: “გარტყმა არ იცის... ისე უნდა დაჰკრა, რომ მიწაზე დაეცეს, მაგრამ კი არაფერი დაუზიანო“...

საღამოს ოფიცერთა საკრებულოში ექიმს ოფიცრობა გარს შემოეხვია და აძაგებდა. ექიმი თავს იმართლებდა ისეთი ტონით, თითქოს პატიებას ითხოვსო.

გიგოს როტის უფროსი საღამოთივე წარუდგა პოლკის უფროსს და უამბო გიგოს ამბავი, მხოლოდ იმ გვარად ვითომ მან მხოლოდ ხელი ჰკრა, გიგო წაიქცა და ყური იატაკს დაჰკრა, დიდხანს ეხვეწებოდა იგი პოლკის უფროსს, ნუ დამღუპამო. პოლკის უფროსმა აღუთქვა დახმარება.

ფორმალური წესი მაინც უნდა შესრულებულიყო,—იმიტომ დილით პოლკის უფროსმა, მიიღო რა ექიმის პატაკი, დაიბარა პორუჩიკი წვრილაძე და მას დაავალა საქმის გამოკვლევა, თან დაუმატა: „განგებ თქვენ გავალებთ ამ საქმეს. ის სალდათი ქართველია და რომ მერმე არავინ თქვას მიკერძოებითი გამოძიება იყოო, აი თქვენ ქართველივე გამოიძიებთ. მე დანამდვილებით ვიცი, რომ ყური დაუზიანდა არა შემოკვრისაგან არამედ ძირს დაეცა და იატაკს ყური დაჰკრა... ხომ გესმით?

— „მესმის, ბატონო პოლკოვნიკო“! უმალ მიხვდა პორუჩიკი თუ რა გვარი გამოძიებაა საჭირო.

„ბევრის დაკითხვა საჭირო არ არის. ფელდფებელი, ოცეულის უფროსი, აი ესენი კმარან“...

„მესმის ბატონო პოლკოვნიკო! „შემოტრიალდა წვრილაძე და გასწია გიგოს როტისაკენ.

მოხერხებულად გამოიძია წვრილაძემ საქმე. რასაკვირველია როტის უფროსობამ ერთხმად დაადასტურა, რომ გიგოს მხოლოდ ხელი ჰკრეს და ისიც იმიტომ რომ გიგო, ვითომ უხეშად და უზრდელად მოეპყრა როტის უფროსს, გიგო წაიქცა და ყური იატაკს დაჰკრაო. საქმე ის იყო რას უჩვენებდა თვითონ გიგო. აქაც მეტად მოხერხებულად მოიქცა წვრილაძე.

მივიდა თუ არა გიგოსთან საავადმყოფოში, მოუალერსა, გამოჰკითხა სადაურია, თითქოს შეიბრალა კიდეც, აღშფოთებით ლაპარაკობდა „ასეთ უბედურობაზე“ და იქამდის მიიყვანა გიგო, რომ დააჯერა, შენთვის უფრო სახეირო იქნება თუ ისეთ ჩვენებას მომცემ, როგორიც შენმა უფროსებმა მომცესო. აქვითინდა გიგო, წლინახევრის განმავლობაში პირველად გაიგონა გასაგები და მასთან ალერსიანი, სიტყვები, გული აუჩუყდა, ტირილი მოუვიდა. წვრილაძემ ალერსს მოუმატა, თან აშინებდა, თუ ასეთ ჩვენებას არ მომცემ უფრო უარეს დაგაყრიანო, სიცოცხლეს გაგიმწარებენო და ბოლოს გამოუცხადა, თუ დათანხმდები, პოლკის უფროს ვთხოვ და შენ ჩემთან დენშჩიკად დაგნიშნამენ, როტას მოშორდები და ჩემთან იქნებიო. უკანასკნელმა დაპირებამ მოსტეხა გიგო, მეტად გაახარა, ადამიანთან ვიქნები, სიტყვას მაინც გავიგებო... დათანხმდა გიგო და დამთავრდა გამოძიებაც.

პოლკის უფროსმა მოუწონა წვრილაძეს გამოძიება და მადლობაც გადაუხადა. გიგოს როტის უფროსმა საღამოს საკრებულოში კარგი ქეიფი გამართა ასეთი ადვილი გადარჩენის საზეიმოდ და წვრილაძეს ოფიცრობამ ხოტბა დიდება შეასხა. ქეიფმა გათენებამდე გასტანა.

წვრილაძემ თავისი დაპირება შეასრულა და გიგო მასთან დენშჩიკად დანიშნეს.

გიგო საავადმყოფოდან გამოსწერეს, როგორც მორჩენილი. მართალია ყურში ტკივილები არა ჰქონდა, მაგრამ სმენა კი დაეკარგა. როტაში მოსვლისას გიგოს გამოუცხადეს, რომ იგი პორუჩიკ წვრილაძესთან არის დენშჩიკად დანიშნული. გიგოს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ჩვენებურ კაცთან მაინც ვიქნებიო. საბრალომ არ იცოდა, რომ სწორედ მისთანებზეა ნათქვამი: ვაის გავეყარე, უის შევეყარეო.

გიგომ მოკრიფა თავის ბარგი ბარგხანა და იმავე დღეს წარუდგა თავის ახალ ბატონს. წვრილაძემ თითქოს ალერსიანად მიიღო, მიუთითა სამზარეულოსაკენ, ორიოდ სიტყვით აუხსნა თუ რა უნდა გაეკეთებინა, თითონ შინიდან წავიდა. გიგო შეუდგა თავის მოვალეობის ასრულე-

ბას, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ თუ როტაში ყოფნა საშინელება იყო, წვრილაძესთან სამსახური ნამდვილ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა.

პორუჩიკი წვრილაძე სამსახურის კარგი მცოდნე, მხნე და ნიჭიერი ოფიცერი იყო. ხასიათით კი და ყოფა ცხოვრებით მაშინდელ ტიპიურ მოვლენას წარმოადგენდა. ლოთობა, გარყვნილობა, კარტის თამაში, კორპორატიული მედიდურობა და მასთან სრული განუვითარებლობა. არავითარი გონებრივი ინტერესი გარდა სამსახურის მექანიკურად ასრულებისა. ათასში ერთხელ თუ აიღებდა ხელში წვრილაძე რომელიმე გაზეთს და გადაათვალიერებდა, თორემ წიგნს ხომ სულ არ მიეკარებოდა.

არსებითად თითქოს ბოროტი ადამიანი არ იყო, თავისებური წარმოდგენა ერთნაირი პატიოსნობისა ჰქონდა, არ იყო ფლიდი, გაიძვერა, მაგრამ გრძნობა გონება იმდენად ჰქონდა დამახინჯებული, რომ ხშირად ნამდვილ ბოროტებას სიკეთესთან ვერ არჩევდა. გულწრფელად სწამდა რომ ადამიანური მოპყრობა სალდათისადმი ეს თვისი ღირსების დამცირება იქნება. მუშტი და მუჯლუგუნი სწავლის საუკეთესო მეთოდათ მიაჩნდა. თუ არა გინებით და რისხვით ისე სალდათს არ დაელაპარაკებოდა. ამასთან მუდმივი ლოთობა და კარტში თამაში უფრო უფუჭებდა ხასიათს. სიმთვრალეში ხომ აუტანელი ხდებოდა, ჭირვეული ბრაზიანი, პირდაპირ გონებას კარგავდა......

გახადა ფეხთ როგორც იყო გიგომ და კვლავ დააპირა სამზარეულოსაკენ წასვლა, მაგრამ კვლავ დააბრუნა პარუჩიკმა.

„არაყი მომიტანე!..“ უბრძანა პორუჩიკმა. გიგომ იცოდა რომ თუ კიდევ დალევს, მაშინ აუცილებლად უბედურობა დატრიალდება და ამიტომ მოწიწებით უპასუხა:

„არაყი აღარ გახლამს“...

— „წადი მოიტანე, შე“.... დაუბღვირა პარუჩიკმა.

„ფული არა მაქვს ბატონო“.... სცადა კიდევ ერთი გიგომ.

— „წადი იშოვე, ნუ მაბრაზებ“, დაუყვირა პარუჩიკმა და ბარბაცით წამოდგა.

„წავალ“, იფიქრა გიგომ, „იქნებ დაეძინოს“... და გასწია კარებისაკენ.

— „აქ მოეხირე“, მოესმა ღრიალი, გიგო დაბრუნდა.

— „მოდი აქ ჩემთან!“ გიგო მიუახლოვდა. პარუჩიკმა უცბად შიგ თვალში საშინელი მუშტი ჩაჰკრა, გიგო წაბარბაცდა, თვალები დაუბნელდა, მიადგა წვრილაძე და უწყო საშინელი ცემა. სცემდა ხელით, ფეხით და თან დასძახოდა: „ჩაი, ჩაი, ჩაი... სადაა ჩაი?“

ველარ მოითმინა გიგომ, აზრი აერია, თავს ანგარიშს ველარ უწევდა, წამოხტა, მოჰკრა თვალი იქვე მაგიდაზე ცარიელ ბოთლს, სტაცა ხელი და მაგრად ჩაარტყა თავში წვრილაძეს. თავ-გატეხილი დაეცა იატაკზე პორუჩიკი. გიგო კი კარში გავარდა და გაიქცა ქუჩით. ჯერ ვერ გამორკვეულიყო, გაბრუებული მირბოდა, გასცდა დაბას, დაადგა შარა გზას და კვლავ მირბოდა, საით? თითონაც არ იცოდა, მხოლოდ შორს, შორს....

განვლო ღამემ, გათენდა. როტებში ჩვეულებრივი მეცადინეობა დაიწყო. წვრილაძის როტის უფროს უკვირს რომ მისი თანაშემწე მეცადინეობაზე არ მოდის. არ ყოფილა შემთხვევა; რომ პარუჩიკს როდესმე დაჰგვიანებოდა. გავიდა საათი, ორი, სამი, წვრილაძე არსადა სჩანს და არც რაიმე ცნობა მოდის მისგან. როტის უფროსმა კი იცის, რომ დღეს პოლკის უფროსი როტებს დაათვალიერებს და წვრილაძე კი თავის ადგილზე არ იქნება. „ალბად ჯერ ვერ გამოფხიზლებულა“, იფიქრა როტის უფროსმა და აფრინა ჯარისკაცი წვრილაძესთან. მივიდა გაგზავნილი ჯარის კაცი წვრილაძის ბინაზე, კარი ღია დაუხვდა, შევიდა შიგ და საშინელი სურათი დახვდა. იატაკზე განართხული თავგატეხილი პორუჩიკი ხრიალებდა. შეშინებული ჯარის კაცი გაექანა და შეატყობინა როტის უფროსს, ასტყდა ალიაქოთი, აცნობეს მორიგ ოფიცერს, პოლკის უკროსს და მოკლე ხანში წვრილაძის ბინაზე გაჩნდნენ პოლკის უფროსი, ექიმი და თითქმის მთელი ოფიცრობა. ვიღამაც წამოიძახა: „დენშჩიკი სადღა არისო?“ მაშინ გაახსენდა ყველას დენშჩიკი, მაგრამ დენშჩიკი არსად იყო... აფრინეს მდევარნი, პოლკის უფროსმა სასტიკი ბრძანება გასცა, რომ გიგო აუცილებლად ეპოვნათ.

საღამოს მოიყვანეს გიგო. ნამდვილ ჭკუაზე შეშლილს წააგავდა. გაყინული, ძაგძაგებდა, კრინტს არა სძრავდა, თავჩაღუნული იყო, დაამწყვდიეს.

წვრილაძე მალე მოსულიერდა, ჭრილობა მაინც და მაინც იმდენად სერიოზული არ იყო. მართალია კარგა ხანი მოუნდა წამლობას პორუჩიკი, მაგრამ უკვე ორი სამი დღის შემდეგ შეეძლო თავისუფლად ლაპარაკი და ჩვენების მიცემა.

დაიწყო გამოძიება, გიგოს საუბედუროდ თურმე ჩხუბის დროს საწერი მაგიდა გადმოვარდნილიყო და უჯრა გამოსხლეტილიყო. უჯრაში ქაღალდები აწეწილი დაუხვდა ხალხს, როდესაც პირველად შევიდნენ წვრილაძის ბინაში. თავის მხრით წვრილაძე ირწმუნებოდა, რომ საკრებულოდან დაბრუნებისას მან კარტში მოგებული ფული მაგიდაში ჩასდო, ოფიცრებიც ამტკიცებდნენ რომ იმ საღამოს წვრილაძემ თითქმის ათ თუმნამდე მოიგო და სახლში წავიდაო, დიახ, ასე ახსოვდა წვრილაძეს. დაკარგა მან ეს ფული მაშინ, როდესაც ტელეგრაფის ბოძს ებრძოდა და მიწაზე გორაობდა თუ შემდეგ უბედურობისა, როდესაც ათასი ხალხი ირეოდა მის ოთახში, ვინმემ მოჰკრა თვალი ფულს უჯრაში და წაიღო, ვერ გამოირკვა, მაგრამ გამომძიებელი იმ აზრს დაადგა, რომ გიგომ თვალი მოჰკრა ფულს და გაძარცვის მიზნით დაარტყა პორუჩიკს ბოთლი, თვითონ გიგო რასაკვირველია ამას უარყოფდა. რა წამს გიგო გონს მოვიდა, გულახდილად უამბო ყოველისფერი გამომძიებელს. ჰფიცამდა: „მე თვითონ ვერ გამიგია ასეთი საქმე როგორ შემემთხვაო, ჭკუაზე ავირიე არა მესმოდა რა, მაგრამ გიგოს ვინ დაუჯერებდა.

სასამართლომ გაარჩია გიგოს საქმე, დამნაშავედ სცნო, მხედველობაში მიიღო მისი „სრული უვიცობა“ და ვითომ მოწყალება მოიღო, რვა წლის კატორღა გადაუწყვიტა. გადაკარგეს გიგო.

მაგრამ მისმა ბედმა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა პორუჩიკ წვრილაძეზე. გრძნობდა პორუჩიკი თუ რა უსამართლოთ დაიღუპა ადამიანი. ყველაზე მეტად სტანჯავდა მას ის საშინელი ცილი, რომელიც გიგოს დასწამეს. ყველაზე უკეთ წვრილაძემ იცოდა, რომ ამ მხრით გიგო იშვიათი პატიოსანი იყო. არ ახსოვდა არც ერთი შემთხვევა, რომ გიგოს გროში კაპიკისათვის ხელი ეხლოს, მიუხედავად იმისა, რომ პორუჩიკის ფულები, ხშირად პირდაპირ მაგიდაზე ეყარა. არა, პორუჩიკმა კარგად იცოდა, რომ ამ მხრით გიგო უმწკივლო იყო.



არა ლეგალური მუშაობა. რევოლიუციურ გურიის ცხოვრებიდან. ნახ. აპ. ქუთათელაძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

დიდი გავლენა იქონია წვრილაძეზე ამ ამბავმა. ადამიანი სრულიად გამოიცვალა. ლოთობას და კარტს თავი მიანება. მუჯლუგუნ მუშტების მეთოდი არამც თუ თავის პრაქტიკაში მოსპო, არამედ მოურიდებლად ამხელდა სხვებს და ებრძოდა ამ საშინელ მოვლენას. მალე წვრილაძე სამაგალითო ოფიცერი შეიქმნა და წარჩინების გზას დაადგა..

## ახალი

ოქტომბრის რევოლიუციამ სხვასთან ერთად ჯარის მდგომარეობაც ძირიან ფესვიანად შესცვალა. რევოლიუციის ქარტეხილში შობილი წითელი ჯარი ანტიპოდია ძველი ჯარისა, მაგრამ ვიდრე წითელი ჯარი ნამდვილ ჯარად შეიქნებოდა, ბევრი ტკივილები, ბევრი რყევა და შეფერხება განიცადა ახლად ჩასახულმა შეიარაღებულმა ძალამ. საჭირო იყო მთელი რევოლიუციონური ენერგია, შეუდრეკელი ნების ყოფა, გიგანტიური შრომა, რომ ძველი ჯარის საშინელი და საზიზღარ ნანგრევებზე აღმოცენებულიყო ახალი, მტკიცე, ცოცხალი ორგანიზმი—წითელი არმია. საჭირო იყო არა მარტო ძველი ფორმის დანგრევა, ახალი შინაარსის შეტანა, ახალი იდეით ჯარის შექმნა, არამედ გარდაქმნა სულიერი თვით ჯარის შემადგენლობისა, შექმნა ახალი სამხედრო ფსიხიკისა, ახალი ყოფა ცხოვრებისა და რაც უფრო ყველაზე ძნელი იყო ძირიან ფესვიანად ძველი ტრადიციების აღმოფხვრა...

ოქტომბრის რევოლიუციის პირველი სტიქიური ხანაა. ძლივს მობობღავს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მატარებელი. როგორც ბუზი ისე ახვევია მას ხალხი. აგერ ერთი საბარგო ვაგონი ისეა ხალხით გაჭედილი, რომ ნემსი ზევიდან ჩამოაგდო იატაკზე ვერ დაეცემა. სულ ჯარის კაცების ტანისაცმელშია ხალხი. მეტი ნაწილი ქართველი ჯარის კაცებია, სამშობლოსაკენ მიმავალი. მათ შორის ორი თუ სამი, შედარებით ხნიერი, სახით და მიხვრა-მოხვრით თითქმის ჯარის კაცები არ უნდა იყვნენ, მაგრამ თავი მაინც უბრალო ჯარის კაცად მოაქვს... მატარებელს ყოველ სადგურზე ჩხრეკენ, დოკუმენტებს სინჯავენ.

„აქ არაფერია ეუბნება, ერთი ხნიერი მგზავრი მეორეს, „აი თუ შემდეგ სადგურს გავსცდით, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გადავრჩით!!...

მივიდა მატარებელი ამ შემდეგ სადგურთანაც... გაჩერდა, უმალ საბარგო ვაგონთან გაჩნდა რამდენიმე შეიარაღებული კაცი. რუსულად უბრძანეს:

„აბა, გამოდით ყველა, დოკუმენტები გვაჩვენეთ. გადმოხტა ხალხი, დაიწყეს სინჯვა, ერთი შეიარაღებულთაგანი, როგორც ეტყობა უფროსი სინჯამდა დოკუმენტებს. მიუახლოვდა იგი ერთ ხნიერ მგზავრთაგანს, გასინჯა მისი ქაღალდები, მერმე შეხედა, დააცქერდა და ჰკითხა რუსულად: „ოფიცერ?“ „ოფიცერი ვარ“, უპასუხა მან, „გვარი?“ შეეკითხა უფროსი.—„წვრილაძე“—მიუგო მგზავრმა. „პოლკოვნიკ?“ კვლავ შეეკითხა უფროსი. „პოლკოვნიკ წვრილაძე“—უპასუხა მგზავრმა და თითქოს თეთრმა ფერმა გადაჰკრა სახეზე.

„ვედიტე ეგო კ კამისარუ?“ უთხრა უფროსმა ერთ ერთ შეიარაღებულს. წვრილაძემ მოასწრო და წასჩურჩულა თავის ამხანაგებს: „მორჩა, ახლა კი დამხვრეტენ, თუ მიაღწიე შეატყობინე ჩემ ძმას“ და გაჰყვა შეიარაღებულს.

იქვე სადგურის ერთ ერთ ოთახში მოთავსებულია კამისარის სამმართველო, აუარებელი ხალხი ირევა, ჭდევა არ არის. ყველას კამისართან აქვს საქმე.

კარებში შეიარაღებული მცველი სდგას. „კუდა?„ შეეკითხა იგი წვრილაძის მომყვანს.—„კამისარუ, მიუგო მან და შეაღო კარი. წვრილაძემ დაინახა მაგიდასთან მჯდომარე ჭაღარა მორეული კაცი, თითქოს შედარებით ახალგაზდა კაცი იყო, მაგრამ ეტყობა ჭაღარა ადრე გამორეოდა. რუსს არა გვანდა.

„ამხანაგო კანდელაძე. მიმართა წვრილაძეს მომყვანმა რუსულად, „აი ეს თქვენთან გამოგზავნეს, ოფიცერია, პოლკოვნიკი!!...

— „თქვენი გვარი?“ შეეკითხა კანდელაძე წვრილაძეს და დააცქერდა, თითქოს ღიმილმა შეუთამაშა პირზე.

წვრილაძე ცოტა ხმის კანკალით მიუგო პოლკოვნიკმა და თან თავში უვლიდა: „რავქნა, თითქოს ნაცნობი სახეა, სად მინახავს?“ ამ დროს მოესმა ქართულად: „დაბრძანდით, ამხანაგო,“ და კანდელაძემ იქვე თავის წინ სკამზე მიუთითა. ჩამოჯდა წვრილაძე, ცოტათი გულს მოეშვა.

„აბა დამაცქერდით, ვერა მცნობთ? მე კი მაშინვე გიცანით!!...

— „ვერ მომიგონია. ძლივ წაილუღლუღა წვრილაძემ.

— „არ გახსომთ თქვენი ყოფილი დენშჩიკი გიგო კანდელაძე.“

თითქოს გველმა უკბინა ისე წამოხტა პოლკოვნიკი წვრილაძე, სახე გაუფითრდა. მთლად ცახცახმა აიტაცა, ვერ გამორკვეულიყო...

— თქვენ... თქვენ?“...

„დიახ, მე გახლავარ, ყოფილი დენშჩიკი, კატორღელი გიგო კანდელაძე... დამშვიდდით, დაბრძანდით“...

დაეშვა სკამზე წვრილაძე. „ახლა კი მორჩა,“ გაიმეორა გულში თავის სიტყვები... აი სად მომიწია ცოდვამ“...

კანდელაძე შესცქეროდა და იღიმებოდა. „უხარიან,“ ფიქრობდა წვრილაძე... „რაღას მაწვალებს... მორჩეს და გაათაოს“... გაახსენდა ომიანობის დროს საქართველოში დატოვებული ცოლშვილი და ცრემლი მოადგა თვალს...

„მე ვიცი რაც მომელის,“ ძალა დაატანა თავს წვრილაძემ და თითქოს დამშვიდებული ხმით დაუწყო კანდელაძეს: „ის რაც მე დაგმართეთ რა თქმა უნდა ანაზღაურებას მოითხოვს... ვიცი რომ ჩემი საქმე გადაწყვეტილია... მხოლოდ ერთსა გთხოვთ... ნება მომეცით წერილი დავწერო სახლობასთან და საქართველოში მიმავალთ გავატანო... იქონიეთ მოწყალება!...

— „მაინც რა გგონიათ, რა მოგელით“, ისევ ღიმილით, შეეკითხა კანდელაძე.

„დახვრეტა“, მიუგო წვრილაძემ და ჩაღუნა თავი.

— „არა, ამხანაგო, ჩემი საქმის გულისათვის, არა... სხვა რაზე მე კი დიახ, არ დაგზოგავდით... მაგრამ იმ საქმეზე კი არა, არა... დამშვიდდით და ცოტა მომისმინეთ.

წვრილაძემ თვალები დააჭყიტა და მიაპყრა კანდელაძეს, ამას კვლავ სახე უღიმოდა.

„არა გჯერათ, აი უკვე მზადაა თქვენი გაშვების მოწმობა, ინებეთ?!.. და გადასცა მას ბეჭდით შემოწმებული „პროპუსკი“. მთლად დაიბნა წვრილაძე... მაინც არა სჯეროდა, „დამცინის კიდეც“, უელამდა თავში.

„მე იმ შემთხვევისა დიდი მადლობელი ვარ“, კვლავ დაუწყო კანდელაძემ: ის რომ არ მომხდარიყო, ვინ იცის

როგორ წავიდოდა ჩემი ცხოვრება.. უკეთეს შემთხვევაში როგორმე დავამთავრებდი სალდათობას დავბრუნდებოდი შინ და დავრჩებოდი კვლავ უვიც, ბნელ გლეხათ.... მაგრამ კატორღა ჩემთვის სასწავლებლად გადაიქცა, ჩემ და საბედნიეროდ იმ თავითვე ისეთ ამხანაგებში მოვყევი, რომ შვიდი წლის განმავლობაში ბეჯითად ვსწავლობდი, მასწავლეს, გამანათლეს, ამიხილეს თვალი... ერთი სიტყვით კატორღა ჩემთვის ნამდვილად ახალი დაბადება იყო ნამდვილი აღდგომა და აი ხომ ხედამთ ეხლა..... არა, ამხანაგო ის დაივიწყეთ, მე თქვენი მადლობელი ვარ და რუსულად ნათქვამია: „ძველის მომგონს, თვალი გამოეთხაროს“-ო... ზარი დარეკა, შემოვიდა შეიარაღებული ახალგაზდა. კანდელაძემ მიუთითა წვრილაძეზე და უთხრა რუსულად: „წაიყვანეთ კომენდატთან და ჩემ მაგიერ სთხოვეთ სამგზავრო ვაგონში მოათავსოს. იგი თავისუფალია განაგრძოს მგზავრობა ნახვამდის, ამხანაგო, „მიუბრუნდა კანდელაძე წვრილაძეს, „ადრე თუ გვიან იმედი მაქვს შევხდებით საქართველოში ერთმანეთს და მაშინ დავრწმუნდები რამდენად ღირსი იქნებით ჩემი ასეთი მოპყრობისა, ძველი კი დაივიწყეთ“....

სიზმრად გრძნობდა თავს წვრილაძე და ვიდრე კამენდანტმა სამგზავრო ვაგონში არ ჩასვა და მატარებელი არ დაიძრა, წვრილაძეს გადარჩენა თავისი არა სჯეროდა.

**ი. გედევანიშვილი.**

# ამხ. ი. გედევანიშვილის სიტყვა.

## წარმოთქმული მემარცხენე სოც.-ფედერალისტების კონფერენციაზე.

„ისტორიის მიმართულება დღეს ყველასათვის აშკარაა. მისი გეზი იხრება მსოფლიო რევოლიუციისაკენ. დღეს არსებობს ორი ძალა, ერთი, რომელიც ამ ისტორიის ტენდენციას ებრძვის და მეორე კი მას იცავს. საშუალო ხაზი ამ ორ ძალთა შორის არ არსებობს. დღეს ყველა აშკარად ხედავს, რომ ჩვენმა პარტიამ გადადგა გარკვეული ნაბიჯი, დაგმო ყოველგვარი პარტიული თავმოყვარეობა, უარყო პარტიული ეგოიზმი და დადგა სწორ გზაზე, საერთაშორისო რევოლიუციის რიგებში. ეს არის ის პარტია, რომელიც არ შეუშინდა თვითმკვლელობას საერთაშორისო მიზნების გამარჯვება და გამტკიცებისათვის. ჩვენი პარტიისათვის არავითარი სისინი, არავითარი მოღალატური ცდები ჩვენი მტრების მიერ ჩადენილი საშიში არ არის.— ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ მას, თუ რას იტყვიან ჩვენზედ გზა-აბნეული პირები, პოლიტიკური ჯგუფები. დღევანდელი აქტი უდიდესი დამსახურება არის ქართველი ხალხის წინაშე ჩვენი პარტიის მიერ. ჩვენ აშკარათ დაუმტკიცეთ მათ ჩვენი დღევანდელი მოქმედებით, რომელიც გამოიხატება არა ღალატში, არამედ ქართველი ხალხისა და სოციალიზმის სამსახურში, მშრომელი ხალხის კეთილდღეობაში. ჩვენ არ ვღალატობთ სოციალიზმს, არამეთ უფრო ვამაგრებთ, უფრო ვამტკიცებთ იმ რიგებს, რომლებიც სოციალიზმისათვის თავდადებულათ იბრძვიან, ჩვენ თუ გვინდა სოციალიზმის დიდი კითხვა დადებითად გადავწყვიტოთ, მაშინ ყურადღება უნდა მივაქციოთ საერთაშორისო თანამედროვე მდგომარეობას და მის შედეგებს. საშუალო ძალა შეიძლება ფორმალურათ არსებობდეს, მაგრამ ამ ძალას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს კაცობრიობის ისტორიისათვის. მემარჯვენე სოციალისტების ძალაში არავითარი გადამწყვეტი სვლა არ არის, ეს ძალა სოციალიზმის განხორციელების საქმეს აფერხებს და თავისი უხამსი, ყოვლად დასაგმობი პოლიტიკით პირდაპირ მოღალატურ როლს თამაშობს მუშათა კლასის და რევოლიუციის მიმართ.

**კომუნისტური პარტიის გამარჯვება ეს არის მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება და სოციალიზმის რაელურად განაღდება, ეს არის ყოველგვარ ჩაგვრის მოსპობა, მაშასადამე მოსპობა ეროვნული ჩაგვრისა, ეროვნული საკითხის სათანადო დონეზე დაყენება და მისი მოწესრიგება.**

დღეს ვერავინ იტყვის, რომ კომუნისტური პარტია არ აქცევდეს შესაფერის ყურადღებას ეროვნულ საკითხს და არ ქონდეს გამომუშავებული მეტათ სასარგებლო და მოსაწონი ეროვნული პროგრამა. მთელი პოლიტიკა კომპარტიისა დღეს არსებითად მიმართული არის კაცობრიობის უსასტიკესი მტერის იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად, ამით კომპარტია ნიადაგს ამზადებს ყველა დაჩაგრულ ერთა გასანთავისუფლებლად და ერთა შორის ძმური ურთიერთობის გასამტკიცებლად. **კომუნისტური ინტერნაციონალი არის ერთად ერთი ძალა, რომელსაც შეუძლია კეთილსინდისიერად მოაგვაროს ეროვნული საკითხი და მოსპოს ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრა.**



ეროვნული ბიბლიოთეკა



თანამედროვე ქართული მხატვრობა: ლადო გუდიაშვილი.

# მებრძოლ გმირებს.

ვინ შეგხედოს მტერიც იყოს, არ იამოს თქვენი ნახვა?
ან ვინ იყოს კვლავ ურწმუნო, არ სჯეროდეს თქვენგან თქმული,
თუ არ მხოლოდ მავნე, მრუში,—ვის გულში აქვს შავი ზრახვა?!
ვის, ხალხის წილ, ეშმაკისთვის მიუძლვნია თვისი გული?
ან ვინ შესძლოს, განიზრახოს თქვენთა რიგთა შემოლახვა?
ითავხედოს, იამაყოს მოიქმედოს საქმე მტრული!?
თუგინდ იყოს შურით სავსე, შავი ჰქონდეს გულის ზრახვა,—
არ შეჩერდეს შიშ-ნაკრავი, არ უარ ჰყოს განზრახული;
ვინც კი დღემდე შურს გინთხევდათ და არც სურდათ თქვენი ნახვა,
— რა რომ თქვენი ბასრი ხმლები მათკენ იყო მიმართული,—
აწ დარწმუნდნენ თვით ისინიც: ამაოა მათი ჩმახვა,
ჩვენ კი ამ დროს ღრმად თქვენდამი სიყვარული ჩაგვესახა.
და გისურვებთ გამარჯვებას თქვენებრ გმირი სხვაც გვენახოს;
დაგვემკვიდროს შვება-ლხენა, მტერს გულს მოხვდეს, ივაგლახოს.

**გ. მირიანაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




## მოქმედება მეორე

ისტ. დრამა 5 მოქ. 6 სურ. რომის ცხოვრებიდან.

### სარდაფი

სცენაზე ორი ოთახია. ერთში დახლი. პირველ ოთახში მაგიდასთან სხედან ნახევრად მთვრალნი: **მათხოვარი, მესაფლავე, კოჭლი ჯარისკაცი, ბებერი გლადიატორი,** რამდენიმე მოქალაქე და გლადიატორი.

დახლთან ფუსფუსებენ სარდაფის პატრონი სქელი დედაკაცი **ლუტაცია** და მოახლე.

I

**მათხოვარი.** მოვიდეს ღვინო! ლუტაცია, შე ბრუციანო!
**მესაფლავე.** ჯერ ეს დალიე! რომ იცილებ, რა კაცობაა?! ისე დაგათრო, როგორც... როგორც...
**მათხოვარი.** შენ მე დამათრო? ჩავისხავ და ძაბრით ჩაგასხავ! ხვალამდის გაგყვეს, რომ სამარე ვერვის გაუჭრა...
**მესაფლავე.** სხვისთვის თუ არა, შენთვის გავჭრი... განა არ გეყო, ქუჩა-ქუჩა რომ დასწანწალობ ხელგაშვერილი და ხალხს აწუხებ! ნაშოვარს კი სულ აქა ფლანგავ!?
**მათხოვარი.** შენ, ჰეი, დაჩუმდი! შენი სული ჩემს ქისაშია! მე მათხოვარი? რესპუბლიკის მოქალაქე ვარ!
**ჯარისკაცი.** რის მოქალაქე? მოლაქლაქე... ენა-ჭარტალა! რომელ ბრძოლაში ასახელე გამხმარი კენჩხა?
**მათხოვარი.** მე ვიცი, შენ თუ ასახელე, რა მოგვიტანე? ცალი ფეხიც კი მოგაგლიჯეს, შე კოჭლო შენა!
**ლუტაცია.** ჩხუბი არ იყოს! თორემ ციცხვი ყველას მოხვდება!
**მათხოვარი.** ღვინო მოგვიტა!
**ლუტაცია.** ჯერ ჩამოდით, რაც დაგახარჯეთ!
**მესაფლავე.** შენ, ლუტაცია, მაგ მეორე თვალსაც გამოგთხრი!
**ლუტაცია.** იუპიტერმა მაგის მეტი შნო ნულარ მოგცეს!
**მათხოვარი.** (გლადიატორს) ახმახო არეზ! ადღეგრძელოს დიდი სპარტაკი! (სვამენ)
შე უბედურო! შენც ხარ ვითომც გლადიატორი! ისე არ სჩანხარ, ვით ნაცარში მწერი... დალიე!
**გლადიატორი.** ეჰ, მეგობრებო! უნდა კაცსა ბედიც სწყალობდეს!
**ჯარისკაცი.** მართალი არის! ის გაიქცა ლეგიონიდან
**მათხოვარი.** იმის ქვეყანას ებრძოდით და მაშ რას იზავდა?
**ჯარისკაცი.** თავისუფლება კი მიიღო! . ბედი არ არის?
**ბებერი გლადიატორი.** გარწმუნებთ, იმ დღეს სულლა იყო კარგ გუნებაზე, თორემ სპარტაკი რუდიარი *) ვერ გახდებოდა!
**ჯარისკაცი.** აციონი კი თმებს იგლეჯდა: დავიღუპეო!
**მესაფლავე.** ის ღიპიანი!

*) თავისუფლება—მინიჭებული გლადიატორი.

როდის იქნება. სამი ადლი მიწა გავუჭრა!
ახ, მაშინ ნახეთ, მეგობრებო, რა გაქეიფოთ!
**გლადიატორი.** აციონს რაც კი ფული მისცა კორნელი სულლამ...
ოხ, მე რომ მქონდეს...
**მათხოვარი.** შენ მოხმარების შნო სადა გაქვს, შე უბედურო!
შენს მუცელს იგი ერთ კვირასაც არ გაუძლებდა!
**ბებერი გლადიატორი.** რატომ არ მისცემს?
მან კონსკრიპციით ჩვიდმეტ კონსულს და სამს სენატორს, ოთხმოც ათასსა მოქალაქეს და ათას ექვსას მხედარს წაართვა, რაც ებადათ საცხოვრებელი!
**ჯარისკაცი.** ექვსი ათასის სამნიტისა ცოდო ედება; დამორჩილნენ და ვეშაპმა კი მაინც დახოცა!
**არეზ.** მაგან პრენესტში თორმეტ ათასს ყელი გამოსჭრა...
**ყველანი.** ძირს დიქტატორი! ძირს ლუცი სულლა! მტარვალი არის!..
**ლუტაცია.** (დახლიდან) ჰეი მხეცებო! ჩვენს დიქტატორს ვგონებ აგინებთ!
მე თქვენ გიცხადებთ: ჩაიმოკლოთ სულყველამ ენა, ხებას არ მოგცემთ აძაგებდეთ რომის დიდებას!
**ყველანი.** სულლას მომხრეა... ხალხის მტერია!
(წამოიშლებიან, რომ ლუტაციას მიუცვივდნენ. მესაფლავე ხელებ გაშლილი წინ გადაეღობებათ.)
**მესაფლავე.** დაჩუმდით ყველა! ლუტაციას ხელი არ ახლოთ!
მერე მაგ სიგძე, მაგ სიგანე სამარის გაჭრა,
უმადურებო, ბევრჯელ მაგის პურით დამძღრებო,
განა ადვილი თუ გგონიათ?!—გესმის, მეციუს!
ზრდილობიანად მოეპყარი ჩვენ ლუტაციას!
**ჯარისკაცი.** მე შენ მასწავლი, მარიუსის განთქმულ ჯარისკაცს, ზრდილობიანად მოპყრობასა, შე ბარბაროსო?
(არევ დარევაა. საჩხუბრად იწევენ. ამ დროს ისმის ჰეტერების სიმღერა.)
**ჰეტერე'ი:** სად დღეს ვალამებთ, სად კიდევ ღამეს!
არა გვაქვს ზრუნვა გამოვრჩეთ რამეს!
ჩვენით სტკბებიან!
აღინთებიან;
როცა ვბერდებით!
ყველას ვბეზრდებით;
იმსჭვალებიან შავის ზრახვებით!
არავინ იცის სად ვიმარხებით!
**ხმები:**—ერენიაა! —ლუჩილაა! ეს დიანაა!
— ეს ჰეტერების სიმღერა არის!
(შემოდიან ჰეტერები სიმღერით. საერთო ალტაცებით ეგებებიან და მათ სახელებს იძახიან. პირში საჭმელს უდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ. ღვინოს ასმევენ. ეხვევიან. ამავე დროს შეუმჩნევლად შემოდის **მეტრობი** და **სილვიე კორდენი ვერი.** მეორე ოთახში გადიან)

II.

იგინივე, ჰეტერები, მეტრობ და კორდენი ვერი.
**მეტრობ.** მათი ბუნაგი, აი, აქ არის!
**კორდენი.** როგორ მოვაწყოთ, რომ ჩვენ დავრჩეთ შეუმჩნეველნი?
ყური კი ვუგდოთ მათ ლაპარაკს და საიდუმლოს?
**მეტრობი.** (ტახტის ქვეშ უჩვენებს) აქ უნდა შესძვრე!
**კორდენი.** ტანსაცმელი რომ გამესვარა?
**მეტრობი.** შენ გინდა თევზიც დაიჭირო, მშრალზედაც იდგე!
აბა, მიბრძანდი! მეც ამ ტახტქვეშ დავიმალები!
(ტახტებ ქვეშ იმალებიან).
**კორდენი.** ფუ რა მტვერია!
**მეტრობი.** (ტახტიდან). კორდენი ვერი! ყურთა სმენა გაიმახვილე!
კაიოს ვერი დაწვრილებით ანგარიშს მოგთხოვს!
არ დაახველო, არც აგიტყდეს ცხვირთა ცემინი,
თორემ შენს ტყავსა გასწეწავენ, როგორც ბატკნისას!
**ლუტაცია.** (მოახლეს) იქ ხომ მზად არის?
ყველა გააწყე?
ხომ არაფერი დაგავიწყდა? წადი მიჰხედე.
**მათხოვარი.** დღეს დიდებული სტუმრები გყავს, როგორც გეტყობა!
**ლუტაცია.** შენ მეტიჩარა ნუ ხარ-მეთქი! წყეულო ლოთო!
**მათხოვარი.** დღეს ვის მოელი?
**ლუტაცია.** წადი, დაეკდე! შე ლოთო, შენა!
**მათხოვარი.** დღეს ვის მოელი, რო ამზადებ მაგ დამხვრჩვალ კატებს,
მერე კურდღლების მაგიერად უნდა მიართვა?
(საერთო სიცილი)
**ხმები**: როგორ იკადრებს!..
— პომპეუსს ელის!
— არა, კრასის!
— უსულო სულლას!
**ლუტაცია.** მასხარაობას საზღვარი აქვს, თქვე ველურებო!
აგერ ვინ მოდის, დაინახეთ!
**ყველანი,** (აიშლებიან და მიეგებებიან)
ო, სპარტაკ! სპარტაკ! დიდებულო! თავისუფალო!

III

იგინივე. **სპარტაკ, ოკნომან, მირმილიონ, ორტორიქს, კრიქს, ერდელი** და სხვა მეთაურნი შეთქმულებისა.
**სპარტაკ.** ყველას სალამი ჩვენს მეგობრებს!
**ლუტაცია** (სიხარულით ყველას თავს დასტრიალებს)
ბედნიერი ვარ, უძლეველო შენის აქ მოსვლით!
**მესაფლავე.** (მათხოვარს მუჯლუგუნს წაჰკრავს)
შენც უთხარ რამე! ეგრე ენა როგორ ჩაგვარდა?
**მათხოვარი** (მთვრალი) მე... მე... რა ვუთხრა?.. შენ... შენ... სპარტაკ! დიდებული ხარ!
თავისუფალი თუმც შეიქნ... ხარ რუდიარი,
მაგრამ პატრიცებს... ჰო... პატრიცებს მაინც შენ სძულხართ..
მხოლოდ ერთად ერთს ხალხს უყვარხარ დამონავებულს
და ამიტომაც სალამს გიძღვნით და სადღეგძელოს?
**ყველანი** ვაშა უძლეველს! ვაშა სპარტაკს!

**მათხოვარი.** იქნებ ტრიბუნად ამირჩიონ! ორატორი ვარ!
**სპარტაკ** მადლობას გწირავთ, მეგობრებო;
**ლუტაცია** აქეთ მობრძანდით! როგორც მითხრეს, ყველა მზად არის!
კარგი საჭმელი, კარგი ღვინო...
რასაც ინებებთ..,
(შედიან მეორე ოთახში და მაგიდას შემოუსხდებიან. მოაქვთ საჭმელი და ღვინო.)
**სპარტაკ.** აბა, დასხედით,.. გეშიებათ!
**ლუტაცია.** ოჰ, რა ღვინო მაქვს!
ბევრჯელ მისთანა პატრიციებს მოენატრება;
თვით ენობარბის კონსულობის დროინდელია! (გადის)
**ერდელი** მე, როგორც, ძმებო, იბერიელს, ეს ღვინო მიყვარს!
სადღერძელოსთან ერთად იგი მსურს გადავხუხო!
მაღალმა ბოჩიმ—ჩვენმა ღმერთმა—შექმნა ქვეყანა,
ადამის მოდგმა იყო მისგან თავისუფალი,
დღეს კი ქვეყანა ორ ბანაკად გაყოფილია:
ერთი ბატონი და მეორე იმისი მონა!
ჩვენ უნდა ისევ ეს ქვეყანა გადავაბრუნოთ
და აღვადგინოთ დაკარგული თავისუფლება!
**გლადიატორები.** თავისუფლებას გაუმარჯოს!
**მესაფლავე** (მეორე ოთახში მაგიდიდან წამომდგარი ყურს უგდებდა) სუ! თქვე ბრიყვებო!
იქით რაღაცა კარგს ამბობენ. (მეორე კამპანია თავისთვის ჩუმად საუბრობს).
**სპარტაკ** ყურს არ გვიგდებდნენ. ხომ იცით, რომ თვალს გვადევნებენ.
უკვე ეჭვი აქვთ ჩვენს ბატონებს...
**მირმილიონ.** შემოსავალში ჩვენები დგანან...
**ოკნომან.** თავისუფლება აღვადგინოთ—ეგ ძლიერ კარგი!
მაგრამ ამისთვის გეგმა გვინდა; როგორ მოვიქცეთ?
მე თუ არ ვიცი რას ვაკეთებ, ან რა გამოვა,
ან სად მიმიყვანს დასახული ჩემი მიზანი,
გარწმუნებთ, ხელსაც არ გავანძრევ! სჯობს ძველზე ვიდგე,
სანამ წავაწყდე ან ზღვის ტალღებს, ან ღრმა უბსკრულსა!
**ყველანი.** მართალი არის გერმანელი!
**მირმილიონ.** ეგ მუდამ ზომავს და ისე სჭრის... ძალიან მომწონს.
**ორტორიქს.** „ჩაგრულთა კავშირს“ გზას გაუკვლევს ჩვენი სპარტაკი!
**ყველანი.** (ღვინოს სვამენ) სპარტაკს სიცოცხლე!.. გამარჯვება! იცოცხლე სპარტაკ!
**სპარტაკ.** მიზანი ჩვენი არის ხალხის თავისუფლება;
ხოლო გეგმა კი: ჯერჯერობით შეკავშირება;
შემდეგ, როდესაც ამ ჩვენს მიზანს ყველა გაიგებს,
უნდა ავისხათ იარაღი და ჩვენის სისხლით
ამ ქვეყნის ძლიერთ, ოლიგარხებს და ჩვენს ბატონებს
ის გამოვგლიჯოთ, რაც ბუნებით ჩვენ გვეკუთნოდა.
ან **შენ, ან იგი!** აქ დაზოგვა აღარ იქნება!
ვინც სათავეში დღესა უფლებს და სცემს კანონებს,
ის ზრუნავს მხოლოდ საკუთარის თავის თავისთვის.
ის ერთი მუჭა მუქთა-ხორა სხვათა სურვილებს
მთლად ანაცვალებს თავის ვიწრო თავმოყვარებას.
იმათი კუჰი სხვათა ლუკმას ძალით იტაცებს.
ამას კანონიც ნებას აძლევს სახელმწიფოსი.
ესენი უნდა აილაგმნენ და რანაირად?
აწონ-დაწონვით სიფრთხილით და წინდახედულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაზე სიკვდილი შემოგვხვდება—რათ შევუშინდეთ,
როცა ვიცით რომ სამუდამო არ გვაქვს სიცოცხლე?
სჯობს დავიხოცნეთ ჩვენი ძმების უფლებისათვის,
არასდროს ცირკის მოედანზე სხვის შესაქცევრად!
**მერმილიონ.** მაინც რა არის საბოლოო?
**ხმები.** სინათლე და თავისუფლება!
**მერმილიონ.** ოკნომანივით მეც მსურს მცირე რამ მოგახსენოთ.
თავისუფლება და სინათლე ძლიერ კარგია!
ვსთქვათ ჩვენი თავი დავიხსენით ბატონებისგან.
შეგვემატება რამე ჩვენის თავისუფლებით?
თავისუფალნი და ქონებით ღარიბ-ღატაკნი!
გაივლის ხანი და ჩვენ უნდა მშიერ მწყურვალნი
მივიდეთ ისევ ძველ ბატონთან-მემამულესთან!
რა გამოვიდა? რა მოგვცა ჩვენ თავისუფლებამ?
ის, რომ წავშალეთ მარტო სიტყვა: „გლადიატორი“?
(გლადიატორები ერთმანეთს გადახედავენ, თითქოს ერთმანეთს ეკითხებოდნენ)
**ერდელი.** გინდათ გაიგოთ ჩემი აზრი?—
ჩვენ გვინდა **მიწა:** ტყე, ვენახი, სახნავ-სათესი!
უნდა ბატონებს ჩამოერთვას, გლეხებს მიეცეს...
მიეცეს იმას, ვინც მუშაობს თავის მარჯვენით!
აი ამ მიზნით ვიბრძოლებ და კიდეც სისხლს დავღვრი!
და ამ მიზნისთვის აჯანყდება მშრომელი ხალხი!
**ხმები.** იბერიელი მართალს ამბობს!.. მიწა მშრომელ ხალხს!
**სპარტაკ.** (სიჩუმის შემდეგ) ჯერ უნდა მტერი დავამარცხოთ, დავიპყროთ რომი,
ხელთ უნდა ვიგდოთ მართველობა სახელმწიფოსი
და დავამკვიდროთ დიქტატურა ჩაგრულებისა...
შემდეგ ჩვენ რასაც გავაკეთებთ, როგორც მოვაწყობთ:
ჩვენს ხელთ იქნება!
**ყველანი.** (აღტაცებულნი) ჩვენ ხელთ იქნება! მართალია!
ჩვენ ხელთ იქნება!
**ერდელი** თავისუფლება ენიჭებათ დაპყრობილ ერებს?
**სპარტაკ.** ყველა იცხოვრებს თავისუფლად ძმურის კავშირით!
ჩვენს ირგვლივ უნდა შემოვკრიფოთ ყველა ჩაგრულნი!
ნურვინ იფიქრებს, ძლიერებას ვეშაპ რომისას
ჩვენ მარტო დავძლევთ ჩვენის ლაშქრით, თუ არ მივიმხრეთ
დამონებული სამეფონი კიდით კიდემდე,
დასავლეთიდან იბერია – სასომხეთამდე!
უნდა ავანთოთ აჯანყების ყველგან კოცონი,
რომ ერთის ძალით შევესივნეთ, მტერი ავლაგმოთ!
**ყველანი.** ეგ გეგმა მომწონს! ეგ კარგია! დიდებულია!
**სპარტაკ.** ხვალ ორტორიქსი რევენაში უთუოდ წავა,
და ეტყვის ჰანიკს, რომ მებრძოლი ხუთი-ათასი
იმას მზად ჰყავდეს!—იგი არის პირველი გუნდი!
უმეთაურებს მეორე გუნდს ლომგული კრიქსი,
აქ რომში როა!—ისიც ახწევს ექვს ათასამდე!
მესამესა და მეოთხეს კი მე და ოკნომან
ვუმეთაურებთ ათი-ათას გლადიატორსა!
**კრიქს.** (ყვირილით)
ბრძოლის ველზე ოცი ათასი!
**ორტორიქს.** ოცი ათასი! ასეთს ძალას ვინ გაუმაგრდეს?
**სპარტაკ.** ახ! მეგობრებო! რარიგ მალე გრძნობას აჰყევით!
ოცი ათასი ეს ისეა, ვით ზღვაში წვეთი!
თქვენ რომაელთა ძლიერებას ნუ ეხუმრებით!
მთელმა აზიამ მიტრიდატით, მთელმა ევროპამ
ეს შეკუმშული სახელმწიფო ვერ დაამარცხა...
ჩვენ იმედი გვაქვს, რადგან ვაცლით იმას საფუძველს:
მშრომელ გლეხკაცებს, მონა ერებს, გლადიატორებს?
ყველა დაჩაგრულს ჩვენს გარშემო შემოვიკრეფავთ.
ვინიცობაა ჩვენ გაგვიგეს ეს დიდი ზრახვა,
ესეც იცოდეთ, **ვეზუვისკენ** უნდა გავიქცეთ!
ნაწილ-ნაწილად ბნელ ღამეში გზების აქცევით
მთა ადგილებში თავს მოვუყრით ჩვენს მებრძოლ ლაშქარს...
**ყველანი** (აღტაცებულნი) ჰო, ეგ კარგია! ეგეც უნდა ჩვენ გაგვეზომნა!
**სპარტაკ.** სანამ ნიშანი მე არ მოგცეთ აჯანყებისა,
დაფარულობა და სიმშვიდე არ დაარღვიოთ,
თორემ დავღუპავთ სინათლეს და თავისუფლებას!
(ამ უკანასკნელ სიტყვებზე შემოდის **კატილინა.** ყველანი გაშტერებულნი სახტად დარჩებიან. მეორე სუფრაზე კატილინას მოსვლა არ ეჭაშნიკებათ და ერთმანეთს ამ უკმაყოფილებას ანიშნებენ).

## IV.

**კატილინა.** „თავისუფლებას და სინათლეს“ ვერვინ დაჰღუპავს!
როგორ განცვიფრდით?
**სპარტაკ.** მობრძანება კეთილი იყოს!
დიდათ ვამაყობ, თქვენის მოსვლით ღირსი გაგვხადეთ!
**კატილინა.** ვგონებ ვახშმობდით... კვლავ განაგრძეთ!—ღვინო მოართვით!
(ლუტაციას ღვინო შემოაქვს. სპარტაკი ზრდილობიანად კატილინას მიიპატიჟებს).
სპარტაკ, მინდოდა შენი ნახვა! (ჯდება)
**სპარტაკ.** თუ კი იკადრებს გლადიატორს რომის პატრიცი...
**კატილინა.** შენ მოგანიჭეს ხალხის თხოვნით თავისუფლება.
ის შეიძინე შენის სისხლით და სიმამაცით!
მაგრამ შენ ფული არა გაქვს, რომ თავისუფლებას...
გემო გაუგო, ისარგებლო, სხვაც ასარგებლო.
და რადგან შენის უშიშრობით კნეი დოლაბელს
მოვუგე ფული სესტერცი სულ ათი-ათასი,
მსურდა მენახე, ნახევარი შენთვის გამეყო,
რადგან გეკუთვნის! იმიტომ რომ მე ფულ ვწირავდი,
შენ კი —სიცოცხლეს!
**სპარტაკ.** კატილინა! აბა, რას ბრძანებთ?
**კატილინა.** რომ არ მიიღო, მეწყინება!
**სპარტაკ.** კატილინა! ძღვენისთვის გმადლობ!
რომელიც ასე კეთილ გულით შემომთავაზეთ!
ვარ ვარჯიშობის მასწავლებლად ჩემს ძველ პატრონთან
და რასაც ვიღებ, იგი მყოფნის...
**კატილინა.** (ყურში რაღაცას ეჩურჩულება)
**სპარტაკ.** (შემკრთალი უყურებს)
**კატილინა.** (ყურში) მეც ვიტანჯები!..
ოლიგარხების ჩაგვრა გულში მეც ზიზღს აღმიძრავს...
გესმის? მეც მინდა „სინათლე და თავისუფლება!“
**ოკნომან.** ჩვენი ნიშანი!
**ორტარიქს.** სიდან იცის?
**ერდელი.** მაგას ვინ უთხრა?
**კატილინა.** (სპარტაკს) მე ყველაფერი ვიცი, დიახ! თქვენი მომხრეც ვარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშ ეს მიიღე! გაძლევ ამას არა საჩუქრად!
გეკუთვნის ისე, ვით ნაწილი ჩვენის მოგების!
(სპარტაკს ხელს ჩამოართმევს, როგორც გლადიატორებს ნიშანი აქვთ)
აი, ხომ ხედავთ: შეთქმულობის ნიშანიც ვიცი!
**სპარტაკ.** (განცვიფრებული უყურებს)
გჯერათ, ვინც გითხრათ? შეცდომაში არ შეგიყვანათ?
**კატილინა.** (დამშვიდებული რწმენით) დიახ? მჯერა!
ნურაფრის შიში ნუ გექნებათ... მომენდეთ ვაჟკაცს!
(სპარტაკს ძალით ქისას ჯიბეში ჩაუდებს)
აბა, ეხლა კი ღვინო დავლიოთ!
**ლუტაცია.** (შემოაქვს ამფორებით* ღვინო. დაასხამს და და ყველას შემოურიგებს).
აბა, იგემეთ!
**კატილინა.** გვარიანია!
**ლუტაცია.** ლუცი ფილიპეს კონსულობის დროინდელია!
**კატილინა.** მართლა?.... ახ, ლუცი!—
— გემრიელი სასმელი არის!—
იმ წელში მოჰკლეს ლივი დრუზი თავის სახლის წინ!
როგორც ამას წინ სატურნინი, ან როგორც უწინ
ძმები გრაკხები, ვერაგულად!.. დიახ, დახოცეს
საუკეთესო ხალხის შვილნი და მოსარჩლენი!..
და ვინ მოუღო იმათ ბოლო? ოფტიმატებმა,
ოლიგარხებმა—ამ გარყვნილმა ჩვენმა მთავრობამ!
და ნუთუ მუდამ, ვინც დაჩაგრულს გამოესარჩლოს,
მტარვლის მახვილმა არ დაინდოს, ბოლო მოუღოს?
**სპარტაკ.** (მუშტს დაჰკრავს მაგიდაზე)
არა! არას დროს! მათი ბოლო (კილოს შეიცვლის)
....თვითონ ღმერთები
განსჯიან საქმეს და ცხოვრებას გზასაც მისცემენ!
(მეორე ოთახში ხმაურობა და დრტვინვაა)
**ოკნომან.** ბოდიშს კი ვიხდი... და აქ მოსვლის თქვენი მიზანი....
**კატილინა.** დამეგობრება!... თქვენთან ერთად უღელში შებმა!...
**ოკნომან.** ყველა ჩვენგანი აღტაცებით მიიღებს მაგას,
მაგრამ თქვენ ჩვენთან მეგობრობა... უღელში შებმა?..
თქვენა ბრძანდებით ნებიერი... თავისუფალი!
ჩამომავლობით პატრიცი და დიდკაცის შვილი!
**კატილინა.** თავისუფალი! ეგ სიტყვაა სიცალიერე!
წაგვართვეს ყველა უფლება და მთელი ქონება!
პატრიცები შევიქნებით ბოგანოებად...
(ყველას აათვალიერ-ჩაათვალიერებს)
მე მოკლედ მოვსჭრი: როს გავიგე თქვენი მიზანი,
გამოვეშურე თქვენთან ერთად ამ დიდ საქმისათვის!
მეც მყავს მომხრენი! მეც მყავს ჯარი ჯერ დაფარულად!
თქვენ რაკი ებრძვით ოლიგარხებს და გარყვნილ სენატს,
გსურთ რომ შესცვალოთ ეხლანდელი წესწყობილება,—
შეიძლებოდა შეერთება ამ ორი ძალის.
რომ ჩემთან ერთად გეშოქმედნათ....
(დიდი ყრუ სიჩუმე. გლადიატორები ერთმანეთს გადაათვალიერებენ).
რაც უნდა იყოს...
როდესაც თქვენთან იქნებიან რომის დიდკაცნი
ამით არაფერს არ დაჰკარგავთ, თუ არ მოიგებთ...
**სპარტაკ.** ნება მიბოძეთ მოგახსენოთ სიტყვა გულწრფელი
და წინდაწინვე პატიებას თქვენგან მოვითხოვ!..

* რომაული ხელადა.

გლადიატორებს და მაღალ წრის პატრიცებს შორის,
ვით ცა-ხმელეთში, ეგრე დიდი განსხვავებაა!
ჩვენ დაჩაგრულთა შვილები ვართ, თქვენ—დამჩაგვრელთა!
ოლიგარხების ის კასტა გძულთ, თქვენ რო გზას გიხშობთ
და არცა განდობთ წარმოებას სამეფო საქმის..,,
თქვენ ამბოხებას მიზნათა აქვს დაამხოს იგი,
მათი ადგილი დაიჭიროთ მართველობისა,..
ჩვენთვის კი სხვაა! გლადიატორს ეს არ იზიდავს...
ვართ საბრალონი, ყველასაგან მოძულებულნი...
უსახლ-კარონი, რომაელთა შესაქცევარნი.
როს აქ გვაბრძოლებთ ასპარეზზე, იქ თქვენი ჯარი
იპყრობს სხვა და სხვა ეროვნებას დასამონებლად,
როგორც დაიპყრო ამას წინად ჩემი ქვეყანა...
ჩვენ არა მარტო ერთი კასტის ან პიროვნების,
გვინდა საქვეყნოდ ყველა ერის და მაშვრალ ხალხის თავისუფლება
რათა თვით ერი რომის მუშტმა აღარ გაჭყლიტოს,
და არ შეჭამოს, ვით ძლიერმა სუსტი არსება!
ამიტომ ჩვენ ვართ მოქიშპენი ყველა მართველის:
ვინც ეხლა არის, ან ვინც შემდეგ ადგილს დაიჭერს:
იქნება იგი დიდი სულლა, თუ კატილინა!
მეორეს მხრით კი ჩვენ, უბედურ გლადიატორებს
სად შეგვიძლიან გაუმკლავდეთ რომის ურიცხვ ჯარს?
მე ვოცნებობდი: თქვენისთანა პატრიციები
ჩაგვიდგებოდნენ სათავეში, გზას გვიჩვენებდნენ,—
მე ასეთ იმედს ვუნერგავდი ამხანაგებსაც,—
მაგრამ დავრწმუნდი, რომ ეს მხოლოდ ოცნება იყო;
ოცნება ჩემი, უგუნური, აუწონავი!
ჩვენი ამბოხი სიკვდილია ჩვენივე თავის
და ამიტომაც მწუხარებით მე მას უარს ვყოფ!
და თქვენს წინაშეც ბოდიშს ვიხდი... შეუცდენიხართ.
**ყველა გლადიატორები.** ჩვენც! ჩვენც! ყველანი! ამბოხებას ჩვენ არ ვაპირობთ!
**კატილინა.** დიდათ ვწუხვარ, რომ არ მენდობით!
წყეულმც იყოს ჩემი მოდგმის საფრთხო სახელი!
თქვენის გზით წადით, და იქნებ, რომ სადმე შემოგვხვდეთ!
(მერე სუფრაზე აიშლებიან)
**მესაფლავე.** გრატიდიანის მკვლელი არის ეგ კატილინა!
რადგან მან ფული არ ასესხა—უნდა გავაგდოთ!
სულლას კი უთხრა: მარიუსსა ემხრობოდაო!
**მათხოვარი.** ეგ ძმის მკვლელია! მას წაართვა მთელი ქონება!
**არეჯ.** მას აქ რა უნდა? რად გვაყენებს შეურაცყოფას!
ეგ პატრიცია, ჩვენ გლეხები, საერთო რა გვაქვს?
**ლუტაცია** არ გასჩერდები, წყეულო ლოთო?!
განა ვერ ხედავ, მას ხალხი ახლავს—
მათ შეუძლიანთ ცომად აგზილონ!
**ხმები.** (მეორე სუფრაზე)—დაიკარგოს კატილინა!
— დაიკარგოს თავის პალატინში!
— ეგ კაცის მკვლელი!
— ეგ ავაზაკი!
— ეგეც, იმისი ამხანაგებიც!..
— სპარტაკიც გაჰყვეს, პატრიციებს თუ კი ემხრობა!
(ლუტაცია ამ არეულ-დარეულობის დროს დიდი კოვზით ხან ერთს ემუქრება: დაჩუმდიო, ხან მეორეს.)
**კატილინა.** (აღელვებული თავს ძლივს იმაგრებს. კარებიდან) რომელი ჰბედავს ჩემი სახელის გაბინძურებას?

**ყველანი.**—აქედან უნდა დაიკარგო!
—შენს პალატინში დაიკარგე!
—წაეთრიე სახრჩობელაზე!
—-ძირს პატრიცები!
(მიიწევენ კატილინაზე)
**კატილინა.** მაშ გამაგრდით, არამზადებო!
**არეზ.** ისე ვერ მომკლავ, როგორც მოჰკალ გრატიდია-
ნი! ან და შენი ძმა...
(მიიწევს კატილინისკენ, მაგრამ მუშტით წაიქცევა.
ერთმანეთის აღარა გაეგებათ-რა. სკამების ბრახა-ბრუხი
და სკამების სროლა.
ჭურჭლის მტვრევა. მათხოვარი დანით მიიწევს.
კატილინა ხმალს იშიშვლებს და სიბრტყიდან სკემთ.
ყველანი მიმოიფანტებიან).
**კატილინა.** თქვე სულმდაბლებო!
ფეხებს ულოკავთ, ვინც თქვენა გთელავთ!
მას ტალახში სვრით, ვინც თავს გიმდაბლებთ!
**ლუტაცია** (ტირის) ვაი ზარალო! დაღუპულო შენ ჩემო
თავო!
ხეთქეს, დალიეს—არ გამისწორდნენ!
ჩემი ჭურჭელი სულ მიამტვრიეს.
მე ამდენ ზარალს ვერ გარდავიტან!
**კატილინა.** აჰა ეს ქისა!
იგი ყველაფერს გამოისყიდის!
სპარტაკ! უფრთხილდი შენ ასეთს ხალხს და გაიმარჯვებ!
(გაბრაზებული გადის)

V

იგინივე **კატილინას** გარდა.

**ლუტაცია.** (ქისას ბღუჯავს თან კარებისკენ მიაცილებს)
იცოცხლე დიდხანს, დიდო ბატონო!
რა ღვთისნიერი კაცი ჰყოფილხარ!
ამათ კი როგორ შეურაცყვეს არამზადებმა!
**სპარტაკ.** რათ აუხირდა ასე ხალხი? რა ჯავრი სჭირდათ?
**კრიქს.** ეგ ეჯავრებათ, როგორც სულლა!
**სპარტაკ.** მეც ვაწყენინე!
**ოკნომან:** იგი იქნება უილბლო და მთლად უბედური!

VI

(შემოდის **მირცა** სპარტაკის დაი. მოსდევს დაბალი, ბაჯა-
ჯღანა კაცი. გრძელი ცხვირით, მოტვლეპილ თავით. სა-
ხელად **კურიონ**)
**მირცა.** რა დაგმართნია, ლუტაცია, რად იცრემლები?
**ლუტაცია.** არა! ამ ქისამ ეს ცრემლები მთლად ამოაშრო!
**მირცა.** სპარტაკ! პატრონი მოვიყვანე. როგორც შენ მით-
ხარ!
**სპარტაკ** ნუ თუ ეგ არი ის საზიზღარი?
**კურიონ.** (შეურაცყოფილის ტონით) უკაცრაოდ ვარ! მე
გახლავართ კურიონ მეცი!
პატივცემული პატრიცებში და პლებეებშიც.
**კრიქს.** შენგვარ მაჭაკალს არა ჰქონდეს პატივისცემა?
წყეულო გუდავ!
**მირმილიონ** უყურე როგორ გაბერილა!
**კურიონ.** ეს ვიღა არის? ღვთის გულისთვის უკან მიაყეთ?
მაგის ყვირილით ყურის ბუშტებს ზრიალი გააქვთ!
**სპარტაკ.** აწ მოკლედ მოვჭრათ: გამოსასყიდს რამდენს
სთხოულობ?
**კურიონ.** ჩემს ღმერთებს ვფიცავ...
**კრიქს.** შენი ღმერთები ჯოჯოხეთში გელოდებიან!
**კურიონ.** (კრიქს მოჰშორდება და მეორე მხარეს გადმოვა)
თუ ძმა ხარ, ცოტა დაბალის ხმით მელაპარაკე
ჩემს ღმერთებს ვფიცავ—იგი ქალი, შენ რომ ამ ჟამად
დათ აღიარებ,—ეგ განსაჯოს გულთამხილავმა—
რა ვიცი, იქნებ, დაც არ არის—ეგ სულ ერთია!..
**სპარტაკ.** ზნე დაცემულო!
**კურიონ.** (დიდის პაფოსით) მე თქვენ გიცხადებთ, რომ
მომეპყროთ ზრდილობიანად!
მე თქვენებრ არ ვარ დაბალ წრიდან გლადიატორი!
**ერდელი.** ერთი გამიშვით, ვაგრძნობინო გლადიატორი!)
ობობას ქსელო! (მიიწევს მაგრამ შეაჩერებენ ისმის ხმები:
მიუშვით, მიუშვით იბერიელი!
**კურიონ.** აღარ ხუმრობენ!
**სპარტაკ.** რამდენი მოგცე, რომ ჩემი და გამოვისყიდო?
**კურიონ.** მე ეგ დამიჯდა ოცდახუთი ათასი, დიახ?
და რადგან იგი ლამაზია, ზრდილობიანი,
ეხლა დაგითმობ—შენის ხათრით, რადგან ბრძანდები
თავისუფალი რუდიარი და უძლეველი—
ეხლა დაგითმობ—ხათრით მეთქი!—ასი ათასად!
**სპარტაკი.** (ბრაზმორეული) ზნე-და-ცე-მუ ლო!...
ჩემს დას მაყიდებ, ჩემს სისხლ-ხორცსა—სდებ მაგეთ
ფასსა?
ო, ფული! ფული! რომლით სხვის ოფლს ცხადათ იპარვენ!
**კურიონ.** რაც ფასი დავდე, მის გარდათქმას ვერ მაიძუ-
ლებთ!
ჩემს მხარეზეა, კანონი და თვით სამართალი!
დიახ, კანონი!...
**სპარტაკ.** (ყელში მივარდება).
კაცის ბუნების შემლახველი შენი კანონი!
შენი კანონი!...
**ერდელი.** ყიწი წააძრე! დაჩუტე გუდა!
**კრიქს.** მოიცა ძმაო! მაგის სიკვდილს რას გამორჩები?
დაიღუპები და შენს დასაც სულ მთლად დაჰღუპავ!
**სპარტაკ.** ამდენი ბოღმა აღარ ძალმიძს გულში დავტიო...
**მირცა.** ძვირფასო ძმაო! ვალერია მაგ ფულს გადიხდის...
**სპარტაკ.** (შემკრთალი) ვინ ვალერია?!!
**მირცა.** ვალერია! სულლას მეუღლე.
(სპარტაკი პირზე ხელ აფარებული ყურს უგდებს. სკამზე
დაეშვება)
ის სეირნობდა ტრახტევანით... და წინ შემომხვდა...
ამ დროს ძვირფასი სამაჯური გადმოუვარდა.
და მივირბინე, მივაწოდე! მკითხა: ვინ ხარო!
მე ვუპასუხე: სპარტაკის და! ახლო მოდიო!
მივუახლოვდი! ჩამაცქერდა იგი თვალებში!
შემდეგ მკითხა თუ ვისთანა ვარ, სად ვიმყოფები!
მე ყველაფერი ვუამბე რომ გაყიდულ ვიყავ!
ნუგეში მომცა: „დაგიხსნიო, ფულს მე მოგცემო“!
ხვალ მე მასთან ვარ სასახლეში დაბარებული!
**სპარტაკ.** (გონს მოდის)
ახ, ვალერია!
კურიონ ჩემო! უკაცრავად, ბოდიშს მოვიხდი!
სულ სხვაზედ ვიყავ, სულ მთლად სხვაზე გაჯავრებული
და უნებურად ჩემს ჯავრს ბოლოს შენზე ვყრილობდი...
მე იმედი მაქვს, მაპატიებ...
**კურიონ.** ასი ათასი!...
ეს ჩამაბარეთ! ყურადღებას სხვას არ მივაქცევ!
(მიდის შეშინებული უკან-უკან იყურება)
ღმერთებმა მიხსნან თქვენ ხელთაგან, მადლობას ვიტყვი!
(გადის)

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII.

იგინივე კურიონის გარდა
**ერდელი.** (ყვირილით)
დაჭერილია, დაჭერილი! *(ყველას დაურბენს და იძახის: დაჭერილია)!*
აბა, უყურეთ! ამ ტახტის ქვეშ ვიღაც ძაღლია!
**სპარტაკ.** გამოათრიეთ!
**ერდელი.** ჯაშუშია ეს საზიზღარი!
ვერსად წამივა. ჩემს ხელშია!
(მეტრობს გამოათრევს. ყველანი განცვიფრებით უყურებენ)
**ყველანი.** მეტრობი!
**მეტრობი.** (ოფლს იწმენდს და ხვნეშის)
დიახ, გახლავართ თქვენი მონა უმორჩილესი!
ღმერთმა გიშველოთ! ლამის არის სული ამომძვრა!
კარგია თვალი შემასწარით, გამომათრიეთ,
თორემ მე თვითონ მოვყვებოდი საზარელ ყვირილს!
კინაღამ კეფა არ მომახრა ორმა ვირთაგვამ!
**სპარტაკ.** იქ რისთვის იყავ?
**მეტრობი.** თევზებს ვიჭერდი!
არა, მე თვითონ არ ვიჭერდი—მეთევზეს ვახლდი!
**სპარტაკ.** რაებს ჰბოდავ!
**მეტრობი.** არა ვბოდავ, ვფიცავ ჩემს ღმერთებს!
მეთევზეს ვახლდი!
**სპარტაკ.** ვინ გამოგგზავნა სათევზაოდ?
**მეტრობი.** მე?—არავინ!
მეორე ტახტ ქვეშ, აბა ნახეთ,—იქ უფროსია!
მე მხოლოდ მისი მხლებელი ვარ!
**კრიქს.** (რომელიც კორდენი ვერის გამოათრევს)
ორი მეთევზე!
**მეტრობი.** დიახ, მეთევზე!
მაგრამ მეთევზეს თევზი იჭერს—დიდებულია!
მართლაც ქვეყანა რაოდენად გამოიცვალა!
თქვენ დასაჭერათ ჩვენ ვიყავით და თქვენ კი გვიჭერთ!
**სპარტაკ.** (კორდენის) შენ რომელ პატრონს დაჰკარგვიხარ?
**კორდენი.** ღვთის გულისათვის მაპატიე...
**მეტრობი.** საბრალოვ, ცრემლი რას გიშველის? მე აკი გითხარ:
თქვენ ტყავსა მეთქი გასწეწავენ, როგორც ბატკნისას!
**ოკნომან.** რას მასხარაობ! Donner Wetter!
**მეტრობი.** არ გახლავართ ბრძენი სოკრატი!
ჭირსა თუ ლხინში ვმასხარაობ და ვმხიარულობ!
**მირმილიონ.** დაგახრჩობ კატავ! (მისკენ მოიწევს)
**მეტრობი.** მე რა შუა ვარ? ღმერთებს ვმადლობ რომ აქ დავესწარ,
გავიგე ქვეყნის სიმართლე და უსამართლობა
გავიგე თქვენი „სინათლე და თავისუფლება„!
უფრო მიამა, კატილინას კუკუ რომ ჰკარით!
**სპარტაკ.** *ვინ გამოგგზავნათ?*
**მეტრობი.** მაგას ჰკითხეთ, მაგ ჩემ დამღუპველს!
(მივარდება მაგიდაზე და ღვინოს სვამს)
პატარა გული მოვიმაგრო... სთქვი, შე თხის თავო!..
ვერ ჰხედავ რარიგ პატიოსან ხალხის ხელში ვართ!
ღმერთებსა ვფიცავ მე არაფერ შუა არა ვარ!
სთქვი, შე თხის თავო...
**კორდენი.** ყველაფერს ვიტყვი, ნუ კი მომკლავთ, ღვთის გულისთვის!
**სპარტაკ.** მაგაზე მერე ვიბაასოთ! ეხლა გვიამბე!
**კორდენი.** მე ვარ სილვიე კორდენი ვერი!
ვარ ბერძენი! ჯერ ვიყავ მონად!
გაიოს ვერიმ მომანიჭა თავისუფლება!
**მეტრობი.** მაგას კი სცრუობ!
შენ ხარ კლიენტი! თავიდანვე ჯამაგირს გაძლევს!
მართალი უთხარ, ხომ იცი რომ მე ვერ დავფარავ!
გეფიცებით, რომ სიმართლის თქმა თან დამყოლია!
**სპარტაკ.** იმან მოგგზავნათ? გაიოს ვერიმ! გაკოტრებულმა
თქვენმა ბატონმა? იქნებ ჩვენით სიმდიდრეს ეძებს?
**მეტრობი.** მე ეგ აქამდის მოვაცილე და იმ ტახტის ქვეშ
შევძვერი მხოლოდ ჩემის ცნობის-მოყვარეობით:
მინდა გამეგო „სინათლე და თავისუფლება“!
ვფიცავ ჩემს ბახუსს! თქვენი მტრობა მე არ მქონია!
**კორდენი.** გაიოს ვერი თვალყურს გადევნებთ!
მას უნდა თქვენი შეთქმულობა აღმოაჩინოს,
რომ დაგასმინოთ და მიიღოს მით წარჩინება!
მან აღმოსაჩენ იარაღად ამომარჩია!
**მეტრობი.** მაგასაც სცრუობ! მორიგება არ იყო ჩვენში?
ტახტის ქვეშ ძვრენა იქვე გვქონდა შეფასებული!
**კორდენი.** მაპატიეთ დანაშაული!... (ტირილით უჩოქებს)
**კრიქს.** თავს იკატუნებს!
**სპარტაკ**, გაიყვათ გარეთ და თევზები დააჭერინეთ!
**ორტორიქს.** აბა გამომყე! Mors sua—vita nostra!
მისი სიკვდილი—ჩვენი სიცოცხლე! (გაჰყავს).
**მეტრობი.** იქნებ ღმერთებმა შემიბრალონ?
**სპარტაკ.** შენ კი, მეტრობი! დაიხსომე ჩვენი წყალობა!
(მეტრობი დაუჩოქებს და წითელ ტოგის კალთებს უკოცნის)

ფარდა.

**სანდრო შანშიაშვილი.**

# ფარაონ ტუტატხამონის აკლდამა.

1922 წელში თებენში (ეგვიპტე) „მეფეთა აკლდამების მინდორზე“ მოხდა დიადი აღმოჩენა. ინგლისელ კარნარვონის თაოსნობით სთხრიდენ და ეძებდნენ სიძველეებს. ამ დროს მისმა თანაშემწემ კარტერმა აღმოაჩინა ფარაონ ტუტატხამონის აკლდამა.

ამ აღმოჩენას არა მარტო კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს არამედ მეცნიერულ-მხატვრული.

ამ აკლდამაში იპოვნეს უთვალავი განძეულობა, რომელიც მოწმობს ეგვიპტელების კულტურულ და მხატვრულ განვითარებას. ამას გარდა აკლდამაში ნახული პაპირუსების და კედლის წარწერები იძლევიან წარმოდგენას ეგვიპტის ისტორიის მთელ ეპოქისას, რომელიც დღემდის სრულიად უცნობი იყო ჩვენთვის.

აკლდამის მესაკუთრე ყოფილა მეფე ტუტატხამონი, მეფე ერეტიკოსის ეხნოტონის მემკვიდრე, საინტერესო ისტორიისთვის იმითი, რომ მის დროს დაიწყო ფივანელ ღმერთის ამონის თაყვანისცემის აღდგენა. მისმა მემკვიდრეება მოსპეს მისგან დატოვებული ყველა ძეგლები და მხოლოთ მათმა უმნიშვნელო რიცხვმა მოაღწია ჩვენამდი. ესენი კი იძლეოდნენ მეტად მკრთალ წარმოდგენას ამ



ტუტატხამონის სარკოფაგის აღმომჩენი კარნარვონი.

ეპოქის შესახებ. ეს აკლდამა კი ხელუხლებელი გადარჩა იმ საერთო დარბევის დროსაც კი, რომელიც განიცადეს ყველა აკლდამებმა მე XX დინასტიის დასასრულში.

გათხრის წარმოების დროს კარტერი წააწყდა კარს ტუტატხამონის ნიშნებით. გახსნა რა ეს კარი, მის წინ გაისხნა კორიდორი, რომელიც მიდიოდა აკლდამის ერთ-ერთ ოთახისაკენ.

დიდი იყო მკვლევართა სიხარული, როდესაც კარის გაღებას შემდეგ მათ თვალწინ გადაიშალათ ოთახი სავსე განძეულობით. მათ შორის უშესანიშნავესი იყვნენ:

1) შეღებილი ხის ყუთი, რომელშიაც ელაგა მეფის ტანისაცმელი.

2) მეფის სკამი, გაკეთებული ხისგან და მოჭედილი სპილოს ძვლით და ოქროთი.

3) ეტლის ნაწილები, მოფენილი ოქროს პტყელ ნაჭრებით.

4) მეფის ტახტი, ერთი უშესანიშნაველთაგანი საგანი. ის მთლათ მოჭედილია ოქროთი, ვერცხლით და მოფენილია ძვირფას თვალთა მოზაიკურ რელიეფებით და კიდევ ბევრი სხვა საგნების, რომელთა შორის შესანიშნავია დედოფლის ძეგლი და ორი ძეგლი მეფისა, რომლებიც იცავდენ კარებს, მიმავალს სარკოფაგის თთახისაკენ. ამ ოთახის შუაში იდგა უზარმაზარი მოოქრული სარკოფაგი, გარშემოვლებული ლურჯ მინანქარით. ამ სარკოფაგში გაკეთებული იყო კარები. მათი გაღების შემდეგ შიგ ნახეს მეორე სარკოფაგი. შინაგან სარკოფაგის კარები დაბეჭდილი იყო, საიდანაც ცხადია რომ ნეშთი მეფისა დარჩენილა ხელუხლებელი. სარკოფაგთა შუა და ოთახში იპოვეს სტატუეტკები და ყუთები ოქრომჭედლის ნახელოვნებ ნივთებით და ძვირფას ქვებით.

სარკოფაგების აღმოჩენის მუშაობა დღემდის გრძელდება და ჯერაც გამოურკვეველია კიდევ რაოდენი განძეულობაა შიგ ჩამარხული.

ყველა ნახული ნივთები და კედლის წარწერები გასაცვიფრებელი არიან თავის შესანიშნავ რთულ და მხატვრულ ხელოვნებით. არ კმარა რომ ისინი საინტერესოა როგორ ისტორიულ ნაშთები, ისინი დაუფასებელნი არიან მხატვრულის მხრივ. აი რა წარმოსთქვა მათზე კარტერმაო თავის ლექციაში ამ აკლდამაზე:

„თუ ჩვენ მე XX საუკუნეში მივაღწიეთ საკვირველ შედეგებს ტეხნიკის სფეროში, მხატვრულ ხელოვნებაში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლოთ ძველ ეგვიპტელებისაგანო“.



სარკოფაგი.



სავარძელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დედოფლის ბიუსტი.



აკლდამაში ნახული საოჯახო ჭურჭელი.



სარკოფაგის შესავალი.

ბიბლიოთეკა
თბილისი

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. კახიანი.

გამომცემელი: სახელმწიფო გამომცემლობა.

ს. ს. მ. უ. ს. 1-ლი სტამბა, პოლიგ. განყოფილ. პლეხ. პრ. 91.

## საზოგადოება „რემო“.

თბილისი — ჰააგა.

ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოება.



20% შეღავათი

## ს. მ. უ. ს.

სატყეო **„ბრუჟოლესი“** ტრესტი

20% შეღავათი

**აცხადებს ყველას საყურადღებოთ:**

**რომ ტრესტს აქვს, როგორც ცენტრში, ისე რაიონებში რკინის გზის სადგურებთან და ტყის მხერხავ ქარხნებთან დიდძალი ტყის მასალა და დამუშავებული**

**საგნები:**
შეშა მაგარი და რბილი ხარისხის
გათლილი ხეები
ლერძები
ფიცრები
რეიკები
გორბილები სხვადასგვა ზომ.
ბაგდატეები
სამშიტი (კავკასიის პალმა)

კლიონკების ბოჭკ. და ეტლ.
შპალები მუხის ბიჟგები კორა-გაჩის და ჭანდრის
ტელეგრაფის ბოძები
მოქნილი ავეჯეულობა (საწოლი ვენის სკამები)
სადურგლო წარმოებ. ნივთები (საწ. და საკეც. მაგიდები შინაური ავეჯეულობა).

სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოჭრილი ტყე მიეცემათ 20%-ის შეღავათით-დანარჩენებს კი ვინც წაიღებს არა ნაკლებ ერთი ჩერვონეცის ღირებულებისა 10%-ის შეღავათით.

**საპრეისკურანტო ფასებში.** **ფასები კონკურენციის გარეშე.**

შეკვეთა ტყის მასალაზე და დამზადებულ ყოველ საგნებზე განუსაზღვრელ რაოდენობით მიიღება სერგიევის ქუჩა № 1 ტელ. 13-66 ტყის მხერხავი ქარხანა: **კამოს ქუჩა № 16 ტელეფ. № 6-63. პროვინციებში მისამართი ტრესტის განყოფილებებს. დირექცია.**



ქ. ტფილისში რუსთაველის პროსპექტზე სახლი № 18. დარაბა 713.

## მიტროფანე ლაღიძის

ხილეულ მადნეული **წყლის** სავაჭროში ზამთრის სეზონისათვის გაიხსნა სუფთათ მორთული

## კაფე

სადაც მსურველებს ყოველ დროს შეუძლია მოითხოვოს და მიიღოს კარგი მაღალი ღირსების მასალებისაგან მომზადებული: ჩაი, ყავა, რძე, შოკოლადი, კაკაო, მაწონი, ხორცის პირაშკები **ხაჭაპურები** და სხვა და სხვა ნაირი ნამცხვრები.

მოითხოვეთ ყველგან მიტროფანე **ლაღიძის** საუკეთესო ხილეულ მადნეულის **წყლები**, რომელთაც **გემო** და **არომატი საამური აქვს**. და თანაც **ჯანმრთელობისათვის სრულიად უვნებელია**, რადგანაც იგი მომზადებულია ნადული წყლით და ნამდვილი ბუნებრივი არჩეული ხილეულობის წვენისგან წმინდა შაქრით.

## ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფილება.

რუსთველის პრ. № 27. ტელ. №№ 7—41 და 3-01.

იღებს ყოველგვარ სასტამბო და სალითოგრაფიო შეკვეთებს.

პოლიგრაფიულ განყოფილების განკარგულებაშია 4 სტამბა: ერთი ლითოგრაფია და ერთი ასოთ-ჩამომსხმელი ქარხანა

**შესრულება სწრაფად და სუფთად**

პოლიგრ. გან-თან არის საწერ—ქაღალდის მაღაზია, რომელიც აწარმოებს ვაჭრობას ბითუმათ და ნაჭრობით. იღებს შეკვეთებს ქაღალდის და საკანცელარიო ნივთების დამზადებაში.

პოლიგრაფ. განყ.



# თამბაქოს ტრესტი

მოითხოვეთ ყველგან! მოითხოვეთ ყველგან!

ნოემბრის დღესასწაულებზე გამოშვებული საუკეთესო ხარისხის პაპიროსი

**„საიუბილეო".**

მოკლე ხანში გამოვა პაპიროსი „იუნკერს"-ი.



რ. ს. ფ. ს. რ. **„გოსსტრახ"** ს. მ. უ. ს.

## ამიერ-კავკასიის რწმუნებულის სამმართველო

**სამმართველო:**

ტფილისი, სასახლ ს ქუჩა, № 6.

ტელეფონი № 9-83.

**საწყობები:**

ტფილისი, ჩერქეზოვის ქუჩა, № 93.

ბაქო, კრასნავოდსკის ქუჩა № 21.

ბათომი, ლორის-მელიქოვის ქ. 21.

სოხუმი, გუმბრი.



## საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და შინა მრეწველობის კოოპერატივთა კავშირი

# წარმოკავშირი.

აერთიანებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უდიდეს კოოპერატიულ ორგანიზაციებს მევენახეობა-მეღვინეობაში, მეცხვარეობაში, მეხილეობაში, მერძეობაში მეფუტკრეობაში და სხვ.

წარმოკავშირის გამგეობა აწარმოებს ყოველგვარ კომერციულ და კომისიონურ ოპერაციებს კოოპერატივებთან, სახელმწიფო ორგანოებთან და კერძო პირებთან.

**ყიდის** ღვინოს, მატყლს, ხილს, ტყავეულობას, ყველს, ჯაგარს, ბეწვეულს, კვერცხს და სხვ.

**იძენს და აწვდის** თავის წევრებს—შაბიამანს, გოგირდს, სასოფ.-სამეურ. იარაღებს, ფართალს, მარილს და სხვ.

**გამგეობა მოთავსებულია—სასახლის ქ. № 5. ტელ. 78.** წარმომადგენლობა მოსკოვში—Б. Дмитровка № 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

# „კახეთი“

დაარსებულია 1894 წ.

გამგეობა, მთავარი კანტორა და მთავარი საწყობი
გოგოლის ქ. № 63 საკუთ. შენობა.
ტელეფონი № 4-65.

ქალაქის კანტორა
თავისუფლ. მოედანი: ყოფ. თამამშევის ქარვასლა
ტელეფონი № 13-23.

## განყოფილებანი თბილისს გარეთ

ბათომს, ბაქოს და მოსკოვში.

## აწვდის ნამდვილ ბუნებრივ კახურ ღვინოს

## ფასები კონკურენციის გარეშე.

საზოგადოების წევრად ირიცხება 2.000-დე კახელი მშრომელი გლეხკაცობა.

ფასი 20 კაპ. ჩერვ.

# მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი

## ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების

# სავეტერინარო ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია

ამზადებს ციმბირის წყლულის საწინაალმდეგო I და II ვაქცინებს პროფ. ცენკოვსკის მეთოდით და ამავე წყლულის საწინაალმდეგო შრატს.

ეს შრატი იხმარება, როგორც საქონლის, აგრეთვე ადამიანების ციმბირის წყლულთან საბრძოლველად.

ლაბორატორია აწარმოებს დიაგნოსტიურ გამოკვლევებს და ღებულობს დაკვეთებს ზოგიერთ ფერად მასაზრდოებელ დარგებზედ ბაქტერიებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა